№ 3029
პარასკევი,
17 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3029
პარასკევი,
17 მარტი

ფასი. დიდ: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით 6** მან. **ერთის თვით** 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11** მან. **ერთის თვით 1 მან.**

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ხატვერი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

ადრესი: Тифлисъ. редакція „Цнобисъ Пурцели".

ამ წლის 25 მარტს გამოვა
ყოველ კვირეული სასურათო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი
„ნობათი"
სრულის პროგრამით.

ფასი გაზეთისა ერთის წლით 5 მან., 25 მარტიდან წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება მხოლოდ 3 მანეთად. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—1. „ნობათის" რედაქციაში (ორბელიანის ქ., № 6); 2. ბიურო „სტრუდეიკ"-ში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. ეზოში); 3. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბ. შ. ქურუკაშვილთან. ქ. ქუთაისში—ბ. ისიდორე კვიცარიძესთან (ამხანაგობა „კოლხიდა"). ბათუმში—გერასიმე კეკელიძის გაზეთის ბიუროში.

სვიმონ გივის ძე, ნინა ნიკოლოზის ასული, გიორგი სვიმონის ძე და მტრონა სვიმონის ასული გვერდწითლები, მარიამ სვიმონის ასული მაღრაძისა, ნატალია სვიმონის ასული უფიანისა და კნ. ლიზა სვიმონის ასული ვეზირიშვილისა და აგრეთვე ობლები თავ. ციციშვილისა—კოსტა, ანნა, ნინა, პავლე და თომა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ორი—შვილის, მეორენი—ძმის, ხოლო მესამენი—ბიძის

პეტრე სვიმონის ძის გვერდწითელისას.

დაკრძალვა იმავე სოფლის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. გორის მაზრაში სოფელს ხცისში შაბათს, 18 მარტს, დილის 10 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე. (2 114—2)

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალა

პელაგია სვიმონის ასული ფორაქაშვილისა,

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის შვილები და რძლები: დავითი და სვიმონ ილარიონის ძენი და მაკრინე ილარიონის ასული ფორაქაშვილები, ნინო ილარიონის ასული რატიშვილისა, ელისაბედ ილარიონის ასული ქართველიშვილისა და რძლები: თინათინ გიორგის ასული და სოფიო დამიტრის ასული ფორაქაშვილებისა.

პანაშვიდი შაბათს, 18 მარტს, საღამოს 7 საათზე, გასვენება კვირას, 19 მარტს, დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან (ავლაბარი, მეტეხის აღმართი, ტიჩკოვის ქუჩა). გაასვენებენ წმ. მარინეს ეკლესიაში, სადაც დაკრძალავენ. (2—118—1)

დარია დავითის ასული გოცირიძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთა და ამხანაგთ, რომ კვირას, 19 მარტს, გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში, განსვენებულის

დავით გიორგის ძის გოცირიძის

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, ხოლო წირვის შემდეგ 12 საათზე იკურთხება ძეგლი განსვენებულისა (1—112—1)

ეკატერინე ივანეს ასული და მიხეილ ივანეს ძე გიკაურები, ანნა მიხეილის ასული და ნიკოლოზ დავითის ძე ქარუმიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—დაუვიწყარ სიძისა, ხოლო უკანასკნელნი—ქვისლისა

ესტატე ნიკოლოზის ძის ჩხარტიშვილისას.

გამოსვენება ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) დანიშნულია კვირას ამა თვის 19-ს, დილის 10 საათზე, პანაშვიდი გადახდილ იქნება ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, ბაქოს ქუჩაზე, № 18. (1—1)

ახალი რესტორანი
„ავრორა"

ვენოსი, რომელსაც „არარატი" ეკუთვნოდა. მახალდოვსკის ქ., ბერელაშვილის სახლი, № 5, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად).

რესტორანი საუკეთესოდ არის მოწყობილი, სამაგალითო სისუფთავე, მშვენიერი საჭმელები და ზრდილობიანი მოპყრობა. რესტორანთან არის პატარა ბაღი და ცალკე კაბინეტები. მზადდება ყოველნაირი საჭმელები. ღვინო საუკეთესო ფირმებისა. როგორც საჭმელი, ისე ღვინო იაფად. სადილები: ორი კერძი, ერთი არაყი, ერთი სტაქანი ღვინო ან ლუდი—50 კაპ., სამი კერძი, ერთი არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—80 კაპ.; ოთხი კერძი, ერთი არაყი, ნახ. ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—1 მან.

მარტის დამლევიდან რესტორანთან იქნება ბილიარდები გოცის ფაბრიკისა.

(თვ.—1) პატივის ცემით **ვანო და გიგო.**

ქუთაისის ფოსტაში, 13 მარტს, დაეკარგა ივანე გიორგის ძე კაციტაძეს ჯიბის საანგარიშო წიგნი, მოწმობები ინჟინერის, სალდათობის და სხვა საჭირო ქაღალდები. ვინც ნახა და წარმოადგენს „კოლხიდის" კანტორაში, მიიღებს საჩუქარს 5 მან. (კვ. 2—1)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

ქოლმიის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ს. ადამიანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.
ე. ნ. მხიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი, ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დიმიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ზ. ა. ტატიშხოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ი. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ჰ. ქიშონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
მ. ა. ბიბიარი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადოთა და ცალკე ოთახებს. (1 50—55).

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

იღებს ავადმყოფებს (ყური, ხელი, ცხვირი და **შინაგანი სნეულებანი**), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელისა. (14—კვ.—13)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,
ე. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მ. ს. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.
ქ. ი. ჩაძლიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
ა. მ. აკაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ა. ი. ზნარაბინეა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.
ბ. ი. მურზინოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. მ. პუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.
ნ. მ. იზიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგებისა ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана
Тиф. мет. противъ памятника Воронцова. (Тел.)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა მიღება საშარდეს და სიფილისიან ავადმყოფებისა, დილით 12—1 ს., საღამოთი 6—8 ს., კუკია. სემინარიის ქუჩა. № 20 (თვ.—7)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა, სასტუმრო საზოგადოების პირდაპირ.(30—53—23)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. ს ბეთანოვი

იღებს ავადმყოფებს (ქალის, საბებიო, შინაგანი სნეულ.) ვლადიკავკავის და ტფილისის ქუჩების კუთხე, კომერციულ ბანკის სახლში. (30—81.—15)

ექიმი
გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (300—6—49)

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ტფილისი, 17 მარტი.

გულახდილი კავშირი.

საზოგადოებრივ კრიზისს, რა გვარადაც უნდა დაბოლოვდეს იგი, ერთი კარგი მხარე აქვს. კრიზისის დროს ყველანი პირბადეს იხდიან, აშკარავდება ყველას სახე, მყუდროების დროს მაცდური და მატყუარი. კრიზისი ნათელ ჰყოფს ვინ ვისი მეგობარია და ვინ ვისი მტერი.

დღევანდელ მოძრაობას არავითარი რეალური შედეგიც რომ არ მოჰყვეს, მაინც იმისი მნიშვნელობა დიდი იქნება. ეხლა ნათელია, როგორც დღე, ვინ უდგა მხარში ტანჯულ ხალხს და ვინ არის იმისი მოსისხლე მტერი. თუ წინად ხალხი ჰგრძნობდა, ვინ იყო იმისი მჩაგვრელი, დღეს თავის თვალებით ჰხედავს, თავის ყურებით ისმენს, თავის სხეულზე ჰგრძნობს. ამ გამოცდილებაშია მტკიცე საფუძველი წინმსვლელობისა, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია საფუძვლის დანგრევა. ხალხის დაბრმავებულ მტერს არ ესმის ეს ჭეშმარიტება, უფრო და უფრო ქვეითა სწვავს თავის ნიღაბს და ამით უფრო აძლიერებს საფუძველს.

მსხვილი მიწათ-მფლობელნი მთლად რუსეთში გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ ალბად, რომ ისინი გლეხის კეთილისმყოფელნი იყვნენ, როდესაც იჯარით აძლევდნენ თავიანთ მამულს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დიდ მადლს შვრებოდნენ, რომ გლეხს აძლევდნენ საშუალებას ლუკმა პური ეშოვნა და შიმშილით არ მომკვდარიყო. ასე ფიქრობდნენ მიწის ბატონები და სჭამდნენ სხვის ნაოფლარს, ნაჯირნახულევს. მაგრამ იქექა. ტკბილ შეცდომიდან გამოიყვანა გლეხის მოთხოვნამ: მიწა იმისია, ვინც იმაზე მუშაობს. ძველი კეთილის მყოფელი განრისხდა და დასჯა მოითხოვა საშიშ მოთხოვნილისა.

სხვის უბედურებით ბედნიერმა მიწის პატრონმა უმალ იშოვნა ძლიერი მოკავშირე—ბიუროკრატია, რომელიც არსებობს იმავე საშუალებით. მოკავშირემ არაფერი დაზოგა, გული მოეგო თავის ბუნებრივ ამხანაგისა და ცეცხლით და მახვილით აკმენდინებს ხმას გათამამებულ გლეხებს.

მაგრამ მიწის პატრონთ ეს არ იკმარეს. მოძრაობის ტალღებმა ზიანი მიაყენა იმათ ჯიბეებს და საჭიროა იმისი ანაზღაურება. წარუდგინეს მოკავშირეს ვეებერთელა ანგარიში, როგორებსაც წარუდგენენ ხოლმე რესტორანებში დამთვრალ სტუმრებს. ანგარიში ალბად ძლიერ გადაჭარბებული იყო, რომ ხალხის აწიოკებით დამთვრალ ბიუროკრატიასაც-კი უზომოდ ეჩვენა, და 30 მილიონის მაგივრად 8 მილიონი აკმარა. ნუ გვგონიათ, რომ მიწის ბატონების მადა ამითი დაკმაყოფილდა. 8 მილიონის გარდა ყოველი მათგანი ადგილობრივ ახდევინებს ზარალს, 8 მილიონი—ზედმეტი საჩუქარია ბიუროკრატია ჰპირდება ხაზინიდან მისცეს ეს ფული, თითქოს ხაზინა—მისი ჯიბე იყოს. ნამდვილად-კი ეს 8 მილიონიც კისერზედ დააწვება იმ საწყალ გლეხებს, რომელთაც უკვე გადაახდევინეს ბატონის ზარალი. მიწის ბატონებმა ესეც არ იკმარეს. იმათ სურთ სრულიად უზრუნველ ყოფილნი იყვნენ მშვიდობიანობის ყოველივე დარღვევისაგან. იმათ სურთ, რომ კვლავ არავინ გაბედოს რაიმე წინააღმდეგობა, მოითხოვეს უფლება, იყოლიონ თავიანთ ხარჯით მცველები, შეიარაღებული მცველები. მეგობარმა ბიუროკრატიამ, რასაკვირველია, ნება დართო. ეს იმისთვის ხელ-საყრელია: ფული, რომელზედაც უწყალოდ ბრძანდება, აღარ დაეხარჯება, ჯარიც, რომელიც ეხლა ასე საჭიროა იმისთვის, გაუნთავისუფლდება.

მაგრამ ჰფიქრობს-კი ბიუროკრატია, რომ იმისთვის გლეხობის საკითხი ერთი უმთავრესი საკითხია, ჰფიქრობს ბიუროკრატია, რა მდგომარეობას ამყარებს სოფელში მიწის ბატონებთან გულ ხდილ კავშირით? განა ცხადი არ არის, რისთვისა სურთ მცველები მიწის ბატონებთან? მხოლოდ ერთისთვის: შეინარჩუნონ თავიანთი უფლებანი და უპირატესობანი; შეუძლებელ ჰქმნან დარღვევა არსებულ სოციალურ წეს-წყობილებისა. იმათ გლეხებისაგან გაძარცვა, გადაწვა, მოკვლისა ისე არ ეშინიანთ, როგორც თავიანთ უფლებების დაკარგვისა.

ბიუროკრატია, რომელიც ყოველ დღე ირწმუნება, რომ სურს მშვიდობიანობა ჩამოაგდოს სახელმწიფოში, თვით ამზადებს საშინელ პირობებს მშვიდობიანობის დარღვევისას. ბიუროკრატია თოფ-იარაღით აძლიერებს მცხოვრებთა ერთ ნაწილს მეორე ნაწილის წინააღმდეგ. ამ ნაწილთა მეგობრობა შეუძლებელია, მათი შერიგება მოუხერხებელია. იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს შუღლის აღმოფხვრას, ბიუროკრატია თვით ხელოვნურად აძლიერებს, ამწვავებს ორ კლასის დამოკიდებულებას. შეიარაღებული ზავი, რომელიც სურს ჩამოაგდოს ბიუროკრატიას, უებარი საშუალებაა აგრარულ მოძრაობის გაღრმავებისა და გაფართოებისა, რომლისაც ეგრე ეშინიან. მაგრამ ასეთია ლოღიკა ძალმომრეობის მოტრფიალისა. იმისათვის მომავალი არ არის, იმისთვის არსებობს მხოლოდ აწმყო. იმისთვის საკმაოა, თუ ორ-სამ დღეს თოფ-იარაღით ჩააჩუმა შიმშილისაგან მკვნესარე გლეხი: იმას ჰგონია სამუდამოდ ჩავაჩუმეო. ბიუროკრატია სოციალურ ავადმყოფობისთვის ცუდი ექიმია: ძველებურ წამლებს ხმარობს.

სახელმწიფო სათათბირო და ჩვენი ტაქტიკა

V

(შემდეგი*)

სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის პროგრესიული მომხრენი ორ ჯგუფად იყოფიან. ერთი ჯგუფი ფიქრობს, რომ რევოლიუცია, საბოლოოდ თუ არა, დიდის ხნით მაინც დამარცხებულია და ამიტომ სრულიად უარი უნდა ვსთქვათ სარევოლიუციო ძალთა განცხოველებაზე, პირდაპირ უნდა დავკმაყოფილდეთ იმ ფრთა-შეკრულ თავისუფლებით, რომელსაც ბიუროკრატია იძლევა, და ვეცადოთ პარლამენტში ბრძოლით გამოვიტანოთ რამე ხალხისთვის სახეირო და სასიკეთო. ჩვენ ასეთ შეხედულებასთან არაფერი არა გვაქვს საერთო, ჩვენ არ შეგვიძლიან განზრახ თვალები ავიკრათ და ვერ დავინახოთ ის, რასაც უკიდურესი რეაქციონერებიც კი მშვენივრად ჰხედავენ. აბსოლიუტურ მმართველობის ძალმომრეობითი ხასიათი არასოდეს ისე ნათლად და ცხადად არ ყოფილა გამომჟღავნებული, როგორც დეკემბრის შემდეგ; ძალმომრეობას არასოდეს ისეთი საშინელი უსამართლობა არ დაუტრიალებია, როგორც ეხლა; ხალხი არასოდეს არ ყოფილა ისე უზომოდ შეწუხებული ბიუროკრატიულ მართვა-გამგეობისაგან, როგორც ეხლა; ხალხის ისეთი დიდი ნაწილი არასოდეს არ ყოფილა დამშეული, როგორც ეხლა. ასეთ პირობებში, რევოლიუციის საბოლოო დამარცხებაზე ლაპარაკი, ჩვენის ფიქრით, პირდაპირ შეუწყნარებელი შეცდომაა.

მეორე ჯგუფი სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის პროგრესიულ მომხრეებისა თავს არ იტყუილებს, იმას კარგად ესმის, რომ რუსეთის რევოლიუციის უკანასკნელი გვერდი ჯერ კიდევ არ დაწერილა. ამისდა მიუხედავად ან უკეთ რომ ვსთქვათ, სწორედ ამიტომ, ამ ჯგუფს საჭიროდ მიაჩნია თავისი თანამოაზრეები გაიყვანოს სათათბიროს წევრებად და თვით სათათბირო გადააქციოს რევოლიუციის კერად. ასე უყურებენ საქმეს კონ.-დემოკრატები და სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილი. ჩვენ გვგონია, რომ ეს შეხედულებაც არ შეესაბამება დღევანდელს პოლიტიკურს მდგომარეობას.

ბიუროკრატია სწორედ იმიტომ ახდენს არჩევნებს გენერალ-გუბერნატორების ზედამხედველობის ქვეშ, სწორედ იმიტომ სძვინვარებს ასე უზომოდ საარჩევნო ხანაში, რომ პროგრესიული ელემენტები ან სრულიად სათათბიროს გარეშე დარჩნენ და ან ისეთი მცირე რიცხვი მოჰყვეს იმათგანი სათათბიროში, რომ ისინი ყურადღების ღირსნიც-კი არ იყვნენ. ასეთ პირობებში რეაქციასთან ბრძოლა ისეთსავე უნუგეშო ნაყოფს გამოიღებს, როგორც დეკემბერში უიარაღო ხალხის შეიარაღებულმა აჯანყებამ გამოიღო. როცა ერთი მებრძოლი მხარე მეორეს ისეთ პირობებში იწვევს შეტაკების მოსახდენად, რომლებიც პირველისთვის გამარჯვებას წინადვე უზრუნველჰყოფენ, იმისმა მოპირდაპირემ ბრძოლის დროებით გვერდი უნდა აქციოს, თავისი ძალ-ღონე ტყუილ-უბრალოდ არ უნდა დააქცევინოს მოწინააღმდეგეს, პირიქით ეს ძალ-ღონე უნდა შეინახოს და მხოლოდ მაშინ წასწიოს წინ, როცა გარემოება გამარჯვების იმედს იძლევა. რუსეთში საარჩევნო კამპანია ცოტა ადრე დაიწყო, ვიდრე ჩვენში. რუსეთის გაზეთები ზოგიერთ ადგილების შესახებ დაწვრილებით ცნობებს გვაძლევენ არჩევნებზე და ამ ცნობებით რეაქციონერები იმარჯვებენ, რათქმა უნდა, იმის გამო, რომ არჩევნები თავისუფალი არ არის. აპრილის სახელმწიფო სათათბირო რომ მართლა რევოლიუციის კერად გადაიქცეოდეს—ეს, არა გვგონია, გულწრფელად სჯეროდეს ვისმე; პირიქით, ეჭვს გარეშეა, რომ იგი რეაქციის კერა იქნება, თუმცა იგი ერთხმივ არ მოიწონებს ბიუროკრატიის ეხლანდელ მძვინვარებას და ცოტაოდენ შეასუსტებს იმის სისასტიკეს. ჩვენის აზრით, ეს რეაქციის კერა—მომავალი სათათბირო რამდენადმე ლიბერალობასაც დაიწყებს, მოსალოდნელია, მაგალითად, რომ პოლიტიკური ამნისტია მოითხოვოს, სამხედრო და სხვა არა ჩვეულებრივი სამართველო წესები მოსპოს, შესაძლოა სიკვდილით დასჯაც-კი სრულებით უარჰყოს, მაგრამ ამ ლიბერალობის წყარო იქნება მხოლოდ ხალხის გულის მოგება, იმის თვალში ნდობის მოპოვება და, ამ გვარად, ერთის მხრივ რევოლიუციის საბოლოო გასრესა და მეორეს მხრივ „საკონსტიტუციო თვითმპყრობელობის" დამკვიდრება.

ბიუროკრატიის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ ძალთა შეგნებული ნაწილი ადვილად მიუხვდება სათათბიროს ლიბერალურ თვალთმაქცობას, იმის გარეგნის ბრწყინვალებით თვალები არ აებმის, მაგრამ შეუგნებელი ნაწილი-კი საბოლოოდ შეუქცევს ზურგს იმ თავგანწირულ მეთაურებს, რომელთაც მისდევდა იგი ოქტომბერში. რევოლიუციის გონიერმა მეგობრებმა თუ

---

*) იხ. „ცნ. ფურ." № 3025

ეხლავე საკმაო შორს მჭვრეტელობა არ გამოიჩინეს, თუ ეხლავე საჭირო ღონისძიება არ გამოსძებნეს, შემდეგ—როცა სათათბიროს სხდომები დაიწყება—გვიან-ღა იქნება.

სოციალდემოკრატიის ერთ ნაწილს ჰგონია, რომ თუ იგი ეხლა მხურვალედ ჩაერია საარჩევნო აგიტაციაში, შეინარჩუნებს გავლენას ხალხის შეუგნებელ წრეებზე, თუ არა—იმის მაგიერ ხალხზე გავლენას რეაქციონერები მოიპოვებენ და ამის გამო რევოლიუციის საქმე დაქვეითდება. ასეთი მოსაზრება ჩვენ დიდ შეცდომად მიგვაჩნია. თუ ხალხმა ეხლა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, იმის გონებაში მაგრად ჩაიბეჭდება იმედი, რომ სათათბირო დააკმაყოფილებს ხალხის სხვა და სხვა საჭიროებას, თუ ერთბაშად არა, ნაწილ-ნაწილ მაინც; ამ იმედს სათათბირო თავის თვალთმაქცურის ლიბერალიზმით რამდენადმე გაამართლებს, მაგრამ რადგან მიუხედავად ყოვლის მეცადინეობისა სათათბიროს წევრებად, ბიუროკრატიის წყალობით, სოციალდემოკრატები და სხვა უკიდურესი პარტიის კაცები კი არ იქნებიან, არამედ მხოლოდ მემარჯვენეები, ამიტომ შეუგნებელი „მასსა“ საბოლოოდ გაიმსჭვალება ნდობით ამ რეაქციონერებისადმი და არა სოციალდემოკრატიულ პარტიისადმი. ის პარტია, რომელიც დღეს ხალხს არჩევნებში მონაწილეობას ურჩევს, თავის ქადაგებით მომავალ სახელმწიფო სათათბიროს ავტორიტეტს ამაგრებს, ხალხს ამ დაწესებულებისადმი ნდობას უნერგავს, სარევოლიუციო ამხედრებას აგმობინებს და, მაშასადამე, სწორედ ისე იქცევა, როგორც რეაქციონულ ბიუროკრატიას სწადიან. რა თქმა უნდა, ჩვენ აქ მხედველობაში გვყავს ხალხის შეუგნებელი ნაწილი და არა შეგნებული.

მახვილი ენის პატრონნი ბრძანებენ, ბიუროკრატია თითონ უცხადებს ბოიკოტს უკიდურეს პარტიებს და უკიდურეს პარტიებისაგან გამოცხადებულს ბოიკოტს რაღა აზრი და მნიშვნელობა აქვსო,—ეს რაღაც ბავშვური ბუტიაობააო. ეს ენაწყლიანი შენიშვნა აშენებულია იმ ორ-აზროვნებაზე, რომელსაც სიტყვა „ბოიკოტი“ შეიცავს. მთავრობის ბოიკოტი ანიშნავს სათათბიროსადმი ხალხში ნდობის გაღვიძებას, უკიდურეს პარტიების ბოიკოტი კი ამ ნდობის გაქარწყლებას. ბიუროკრატია არავის არ უშლის არჩევნებში ჩაერიოს, რაც უნდა უკიდურეს აზრების მატარებელი იყოს ადამიანი, იმ პირობით კი, რომ იმან მომავალი სათათბირო ეხლავე გადაჭრით არ დაჰგმოს. უკიდურეს პარტიების ტაქტიკა-კი ყოვლის უწინარეს ამ გმობას მოითხოვს. ცხადია, რომ საარჩევნო კრებებზე ბიუროკრატია და უკიდურესი პარტიები ერთი მეორის უარმყოფელნი უნდა იყვნენ. ბიუროკრატიის უდიდესი სურვილია, იმდენად ჩაითრიოს უკიდურესი პარტიები არჩევნებში, რომ საზოგადოებრივ ძალთა შეუგნებელ ნაწილის თვალში რეაქციის და რევოლიუციის დავის უმაღლეს მსაჯულად სახელმწიფო სათათბირო გამოსჩნდეს. თუ ბიუროკრატიამ ეს მიზანი აისრულა—რევოლიუციის საქმე გათავდება რადგან სათათბირო, წინასწარ ნამდვილად ვიცით, რეაქციის ბუდე იქნება.

(დასასრული იქნება)

დასავლეთ საქართველოში

ქუთაისი. პოლიტიკურ ტუსაღთა რიცხვი რომ შემცირდა ქუთაისის საპატიმროში ეს ყველასათვის თვალსაჩინო შეიქნა, იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს კვლავ გახშირდა დატუსაღება—ეტყობა, განთავისუფლებულ ვაკანსიების შესავსებად. აქ რომ ვეღარ იპოვნეს შესაფერი რიცხვი დატუსაღებულ ხალხისა, როგორც ამბობენ, ტფილისში შეუთვლიათ, მანდ არიან აქედან წამოსულები, შეიპყრეთ და აქ გამოგზავნეთო. ახლად შესაპყრობი ხალხი იმ ნაირივე დამნაშავეა, როგორიც წინანდელნი იყვნენ, პოლიციის უფროსს კიდევ მოუხდება ქუთაისში მოსვლა, რომ პატიმართ სამართლის გზა უჩვენოს.

ჩვეულებრივი ცხოვრება ქუთაისში არ განახლებულა. დაბინდების შემდეგ სახლიდან გარედ გამოსვლა აკრძალულია, ბულვარის კარი დაკეტილია და ნება არავის აქვს შიგ-შესვლისა. ბულვარს მიჩვეული ქუთათურები ბუზივით გარს ეხვევიან თავის საყვარელ სასეირნო ადგილს და ამიტომ კარგ ტაროსში ბულვარის მახლობლად ტევა აღარ არის. ჯერ კიდევ არ გაშლილან წელში იმ გრიგალისაგან, რომელიც მათ ანაზდეულად მოევლინათ. დიდი უმრავლესობა ვაჭრებისა საქმეს არ შესდგომია. ხოლო თითო-ოროლამ გაბედა მაღაზიების დაქირავება. ეხლა ესენი ნელ ნელა ეწყობიან. ბულვარის მახლობლად სამი დიდი სახლი ყაზარმებად არის გადაქცეული და დილიდან დაწყებული საღამომდის ჯარის კაცები ვარჯიშობენ დოლაბანდისა და ბუკის კვრაში—კაცს ეგონება, ქალაქის ცენტრი კი არა ყაზარმების მიდამოაო. დამწვარი სახლები დაღრეჯილნი გამოიყურებიან და, როგორცა სჩანს, პატრონნები ჯერ-ჯერობით ამ სახლების შეკეთებას არ აპირებენ. ყველა ამის შემდეგ ადვილად წარმოიდგენთ რა უნუგეშო სურათს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს დედა-ქალაქი.

არც პროვინციიდან მოდის სანუგეშო ამბავი. შორაპნის მაზრა ვითომდა რაზმელების დევნაში მთლად განადგურებულა თურმე. დღე ერთია, რაზმელების მდევრების სიარული ათასი. 11 მარტს ქუთაისშიაც გავრცელდა, რომ ჯარმა შეიპყრო მერკვილაძე თავის ამხანაგებითაო, მაგრამ ნამდვილად, როგორც გადმოგვცეს, საქმე ასე ყოფილა: მერკვილაძე თავის ორიოდე ამხანაგით ს. საზანოს საჯვარეში პურსა სჭამდა თურმე, როცა თავს დაესხა მცირე რაზმი პოლიციის დარაჯებისა, მუხურიდან მომავალი. გარშემორტყმულ რაზმისთვის, როგორც ამბობენ, ყუმბარა ესროლათ, რომელსაც ურიადნიკი ემსხვერპლნა. ყუმბარის აფეთქებამ პირველხანს პოლიციის დარაჯებს თავს გზა დაუბნია, ამით ისარგებლეს მომწყვდეულთ და თავს უშველეს, ამ დროს პოლიციელებიც გონს მოვიდნენ, გაქცეულთ სროლა დაუწყეს და ორი კაცი მოუკლეს. დანარჩენებს ს. დილიკაური გაუვლიათ და ბოსლევის ტყისაკენ წასულან. რასაკვირველია, ეს პოლიციელებს არ გამოჰპარვიათ და ზესტაფონიდან მაშველი ჯარი მოუთხოვნიათ. პატარა ხანს უკან მოსულა ბოქაული მახარაძე ცხენოსანისა და ქვეითის ჯარით და ალყა შემოურტყამთ ბოსლევის ტყისათვის იმ იმედით, რომ მერკვილაძე ვეღარსად წაგვივაო. როგორც ზესტაფონიდან მოსულებმა გვითხრეს, პოლიციის იმედი არ გამართლებია და მერკვილაძე მიმალულა.

ჯარი და პოლიცია დიდად გაგულისებული და დაქადებულია და არაფერს დაზოგავს, რომ მერკვილაძე და მისი ამხანაგები ხელთ იგდოს. მუდმივმა სროლამ, ჯარისა და პოლიციის მოძრაობამ და აქედან წარმომდგარმა შიშმა ხალხს გონება დაუკარგა, თავ-გზა აურია და ამის გამო ჩვეულებრივ მუშაობაზე ხელი აიღებინა. ერთმა შორაპნელმა მუშა კაცმა გვითხრა, რომ თუ ასე გაგრძელდა საქმე, მამულიც (ვენახი) მოუვლელი დაგვრჩება და ყანებიც დაუთესელიო. თუ მართლა შორაპნელმა თავისი ვენახი თებერვალსა და მარტის განმავლობაში არ დაიმუშავა, მერე გვიან-ღა იქნება და იმის გარდა, რომ ერთი წლის მოსავალს უნდა გამოეთხოვოს, მომავალშიაც მეტი შრომა და ხარჯი დასჭირდება ვენახის გამობრუნებისათვის, თუ შემდეგშიაც ასე გასტანა საქმემ, გვითხრა იმავე მიწის მუშამ, შიმშილი, ნამდვილი შიმშილი მოგველისო.

შორაპანზე უარესს მდგომარეობაში არც ბაღდადის მხარეა—თვითნებობამ აქ იქამდის მიაღწია თურმე, რომ პოლიციის ბოქაულიც-კი მოთმინებიდან გამოიყვანა და თავის მთავრობას სთხოვა თურმე შეიკავეთ მრბეველიო. დღე „ისე არ გაივლის თურმე, რომ სახლი არ გაიძარცვოს ან არ განადგურდეს; ქალთა გაუპატიურება ხომ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. განადგურებისა და გაძარცვისაგან დაზარალებულნი ჩივილს ვერა ჰბედავენ იმ შიშით რომ ვაი თუ საჩივარმა არაფერი გვიშველოს და სამაგიეროდ სახლიც დაგვიწვანო.

ამისთანა პირობებში ჩაყენებულ ხალხს კიდევ ეუბნებიან, შეიკრიბენით, მოილაპარაკეთ თქვენს საჭიროებაზე და ამომრჩევლები დაასახელეთ სახელმწიფო სათათბიროსათვისაო. რუსები რომ იტყვიან—„ბოროტი ირონიაო“, სწორედ ის არის. თითო ოროლას შევეკითხე არჩევნების შესახებ და პასუხად აი რა მითხრეს: ბატონო, რა დროს არჩევანი და სახელმწიფო სათათბიროა, როცა ოჯახი თავზე გვენგრევა, ჩვენს ცოლსა და შვილს საჯაროდ ნამუსსა ხდიან და წვითა და დაგვით შეძენილი ქონება ცეცხლის მსხვერპლად ხდება. ოღონდაც, დავუმატებ მე. **მოგზაური**

სენაკი. 7 მარტს აქეთ გენერალ ალიხანოვს ელოდით. ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებანი გულის ფანცქალით მოელოდნენ გენერალ-გუბერნატორს და რაც-კი შეეძლოთ ემზადებოდნენ, რომ პირნათლად დაჰხვედროდნენ. ხალხი შიშის ზარმა აიტანა, ხოლო როცა 9 მარტს ნაშუადღევს სენაკში შემოვიდა არტილერია და ტფილისის პოლკის ორი ბატალიონი გავრილოვის მეთაურობით, თავ-გზა დაებნა ყველას. დაბინდებისას თვით ალიხანოვიც მოვიდა და დაბინავდა სენაკის მომრიგებელ შუამავლად ნამყოფ დიმიტრი მხეიძისთან, რომელიც ეხლა საპოლიციო დარაჯების ინსპექტორია. თავ. მხეიძის გარდა გენერალ ალიხანოვს ახლავს შტაბი, კანცელარიის გამგე ლვოვიჩი, ერთი ესკადრონი დრაგუნი და ოციოდე ლეკი, რუს-იაპონიის ომში ნამყოფი.

საპარასკევოდ სენაკში ხალხი დაიბარეს. შეგროვდა ხალხი და გულის ძგერით ელოდა, რას ეტყოდა გენერალი. დიდის ხნის ცდის შემდეგ გამოჩნდა გენერალ-გუბერნატორი, მივიდა ხალხთან, სალამზე სალამით არ უპასუხა და რა გაიგო, რომ ხალხს ჯერ კიდევ 17.000 მანეთი სახელმწიფო გადასახადი არ შეუტანია და არც მემამულენი გაუსტუმრებია, გამოუცხადა, რომ თუ ორივე გადასახადს 13 მარტამდის პირნათლად არ გასწმენდავთ, იძულებულს გამხდით უსასტიკეს ზომებს მივმართო და მერე მე ნუღარ დამაბრალებთო. ეს სთქვა და გაბრუნდა იქითკენ, სადაც თავად-აზნაურობა და მოხელენი იდგნენ. მივიდა მომრიგებელ შუამავალ ვარლამ ჩიქოვანთან და საჯაროდ უთხრა: თქვენ არეულობის დროს უწესოდ იქცეოდით და ამიტომ თქვენ სამსახურიდან გადაყენებულად ჩასთვალეთ თავიო. აქვე ქებით მოიხსენია ხაზინადარი, რომელსაც გაფიცვების დროს თავისი ადგილი არ მიუტოვებია, და ხალხს განშორდა. ეს იყო და ეს—ხალხს გენერალ-გუბერნატორი აღარ უხილავს. ხალხი შეუდგა ფულის შოვნის საქმეს, რომ გადასახადი დადებულ ვადაზე შეიტანოს.

ალიხანოვის მოსვლის ღამეს რამდენიმე დუქანი გასტეხეს და თითო-ოროლა კერძო სახლსაც ეწვივნენ ძარცვა-გლეჯის აზრით. ეს გარემოება, როგორც ამბობენ, ალიხანოვისთვის გაუგებინებიათ და რა ზომები მიიღო დამნაშავეთა დასასჯელად, დანამდვილებით არავინ იცის.

ალიხანოვთან ერთად სენაკში მოვიდა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი თ-დი დადეშქელიანი, რომელმაც ინახულა სოფლის კანცელარია. ვიცე-გუბერნატორს ისე არ მოსწონებია თურმე ბინა კანცელარიისა, რომ მამასახლისი დაუპატიმრებია.

სენაკიდან გენერალი ალიხანოვი თავის ამალით 11 მარტს დილით ზუგდიდისაკენ გაემგზავრა. **დროებით სენაკელი.**

ახალი ამბები

◆ **აღმოჩენილი ზარბაზნები და ყუმბარები.** განჯის გუბერნიიდან პოლკოვნიკი ისაევი დეპეშით ატყობინებს კავკასიის ნამესტნიკს, რომ აღნიშნულ გუბერნიის სოფელ ჩარდახში მცხოვრებ სომხებს აღმოაჩნდათ დამალული 7 ზარბაზანი და 200 თოფი, რომელიც უკვე ჩამოვართვით და გავანთავისუფლეთ ერთი ტყვე თათარიო. როცა მეზობელ თათრის სოფელს ქიდაბეკს გაუგია, რომ ჩარდახელებს იარაღები ჩამოართვეს, თვითონ გაუტანიათ და ჩაუბარებიათ 300 თოფი. ამის შემდეგ მეზობელ სოფლებში მორიგება მომხდარა.

◆ **ბათუმისკენ გამგზავრება.** ბათუმში გაემგზავრნენ კავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსი გენ. ლ. რეშეტინი, საინჟინერო გამგეობის უფროსი გენ.-ლეიტ. იანუშკოვსკი და საინტენდანტო ოლქის უფროსი გენ.-მ. ალაპეევი. როგორც ვწერდით, გუშინ კიდევ გენ. მალამა გაემგზავრა.

◆ **ალექსანდროპოლის ციხის პატიმარნი.** როგორც მკითხველებმა უწყიან, ამა წლის 3 იანვრიდან ალექსანდრეპოლის ციხეში თავი მოუყარეს რკინის გზის მოსამსახურეებს, 96 კაცს. ესენი მსახურებდნენ სად. სანაინიდან ყარსსა და ერევნამდე, ამათგან რკინის გზის სამხედრო უფროსის ნეგებაურის განკარგულებით, განთავისუფლეს 66 კაცი. მაგრამ 7 კაცი: ლ. გვაუძე, ვ. კვალიშვილი, ნ. ჩიტაია, ვ. გარბაჩოვი, ერ. გიგინეიშვილი, ვ. კუცილნიკი და მ. ჩხაიძე ადგილობრივ ჟანდარმთა როტმისტრის განკარგულებით ხელ ახლა შეიპყრეს. მიზეზი მეორედ დაპატიმრებისა არავინ იცის. ამ ჟამად ციხეში 37 პატიმარია, 10 მარტს ამავე როტმისტრმა ბ-ნმა ანგელეევმა შესაძლოდ სცნო, რომ 11 კაცი: ერ. გიგინეიშვილი, თ. ტანასიჩუკი, ი. გუროვი, გ. პროხოროვი, პ. ვიშნიაკოვი, ი. ლონდერბერგი, მ. ჩხაიძე, ვ. ვარლამოვი, ვ. გარბაჩოვი, ვ. კუცილნიკი, და ი. იზნელი—განთავისუფლოს, თუ თითო 300 მანეთს შეიტანს. ესენი „მცირე დამნაშავეებად“ უცვნიათ. ნუ თუ ამისთანა „მცირე დამნაშავეთათვის“, უკეთ რომ ვსთქვათ უდანაშაულოთათვის, საკმაო არ იყო ორნახევარ თვით დატუსაღება, დაბალ ბიუროკრატებისაგან მათი კარ-მიდამოს დარბევა-დაწიოკება და ათასი სხვა უბედურება, რომელიც მათ თავს დატყდა? ესენი სამსახურის დროსაც ძლივს არჩენდნენ ცოლშვილს და ეხლა სად შეუძლიანთ სამას-სამასი მანეთის შეტანა?

◆ **თავად-აზნაურობა მამულებსა ჰყიდის.** ნამესტნიკის კანცელარიაში ამ ჟამად აურაცხელი თხოვნაა შესული ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან, რომელნიც სთხოვენ ნამესტნიკს მამულების სახელმწიფოდ შესყიდვას. ბევრს მათგანს ფულად მიუღია უკვე ბე.

◆ **სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩევლები.** საქართველოს თავად-აზნაურთა

ფელეტონი

თავისუფალი არჩევნები

„კადეტების“ გაზეთი „რეჩ“ იტყობინება, რომ უკანასკნელ დღეებში პეტერბურგს გამოიწვიეს ბევრი გუბერნატორი შიდა გუბერნიებიდან, რათა მოესმინათ პირადათ ბ-ნ დურნოვოსაგან დარიგება სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნების საქმეთა გამო. ეს დარიგება ისეთის ხასიათისაა თურმე, დასძენს გაზეთი, რომ ფოსტით გაგზავნა მოუხერხებლად სცნეს, ფოსტას ვერ ანდვეს უცნაური საიდუმლოებანიო.

დიდი წინასწარმეტყველება და გამჭრიახობა არაა საჭირო, რომ მიხვდე, რა ხასიათისა და ჯურის უნდა ყოფილიყო ეს დარიგება, რომლის ფოსტით გაგზავნაც კი ვერ გაჰბედეს. ეჭვს გარეშეა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ე. ი. დურნოვომ, „შესაფერისი“ ინსტრუქციები მისწერა გუბერნატორებს, როგორ უნდა მოიქცნენ, რომ სათათბიროში მხოლოდ მთავრობის ყურმოჭრილი მონა-რეაქციონერები იქმნან არჩეული. ვნახოთ, როგორ ასრულებენ ამ ინსტრუქციებს ადგილობრივ.

ინსტრუქციების პირველი მუხლი, ალბათ, ავალებს ადმინისტრაციას, ყოველი ღონისძიება იხმარონ და მცხოვრებთ თავიდან ააშორონ „პოლიტიკურად არა სანდო პირთა“ გავლენა, რომ არამც და არამც სათათბიროში არ მოჰყვნენ „კრამოლნიკები“. მთავრობა არ სჯერდება იმას, რომ უმზგავსო საარჩევნო კანონით ხალხი მოსწყვიტა სათათბიროს და პოლიტიკურ ღონისძიებას მიჰყო ხელი, რათა უზრუნველ ჰყოს რეაქციონერთა სრული გამარჯვება... თუ როგორ ასრულებენ პროვინციელი გუბერნატორები ამ ინსტრუქციას, მშვენიერად გვიხასიათებს შემდეგი ცნობა ქ. კურსკიდან: „მაზრიდან იტყობინებიან, რომ საარჩევნო კამპანია შეუძლებელს პირობებში ხდება. პოლიცია გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ყველა გლეხთ, რომელთაც თუნდ წერა-კითხვა იციან. გაზეთებსა და ფურცლებს ართმევენ. 5—6 გლეხსაც კი არ შეუძლია ერთად შეგროვება. თუ ვინმე დაასახელეს კანდიდატად, მაშინვე ატუსაღებენ. ტერორი პოლიციისა იმდენად გაძლიერდა, რომ ბევრგან სიტყვა სათათბიროს ხსენებაც კი ვერ გაუბედნიათ“.

თითქმის ყველგან ასეა, როგორც კურსკის მაზრაში, ზოგან უარესიც; გაზეთები სავსეა ცნობებით რეპრესიების შესახებ. მრავალი გლეხია დატუსაღებული არჩევნების გამო. აი რამდენიმე ფაქტი: გლუხოვი. „არჩევნების წინა დღეს დაატუსაღეს ტროფიმენკო და ლიტვინენკო, რომელთა არჩევა გადაწყვეტილი ჰქონდათ გლეხებს“. ხარკოვი. „დაატუსაღეს ხელოსანთა საზოგადოების გამგე პარხარი, რომელსაც ხელოსნები ირჩევდნენ სათათბიროში. 24 თებერვალს, საღამოს, სოფ. დუბოვსკაიაში დაატუსაღეს ვ. ივანოვი, რომელსაც დიდ პატივს სცემენ გლეხები და სათათბიროს წევრად ირჩევდნენ“. აი რას სწერს „ნაშა ჟიზნ“ პეტერბურგის გუბერნიაში არჩევნების შესახებ: „სოფელ სარაში დაატუსაღეს გლეხი მიხ. იაგოროვი, რომელზედაც ეჭვი შეიტანეს სათათბიროს წევრად აირჩევენო. უნდოდათ აგრეთვე სოფ. სტავოტინის გლეხის სიდორ ვორობიევის დატუსაღება, მაგრამ მიიმალა. მაშინ პოლიციამ გამოუცხადა, სოფელს გადაეწყვიტა თუ ორ დღეში არ გამოცხადდა ვორობიევიო. მუქარამ ვერ გასჭრა, სოფელმა პატივცემული გლეხი არ გასცა და პოლიციამ დაატუსაღა მისი ძმა, რომელიც დღემდის ციხეში ზის“. მოსკოვში, „მიუსკის პარკის“ მუშებმა აირჩიეს რწმუნებული, მაგრამ უარი სთქვეს მის გვარისა და სახელის გამოცხადებაზე,—პოლიცია მაშინვე დაატუსაღებსო, სთქვეს მათ. ადმინისტრაციამ აუხსნა—რწმუნებულის გვარი უნდა ვიცოდეთ, ამას კანონი მოითხოვსო. მაშინ მუშებმა დეპუტაცია მიუგზავნეს ქალაქის თავს, გუჩკოვს, და შეუთვალეს, თუ იკისრებთ ჩვენის დეპუტატის ხელუხლებლობის დაცვას, იმის გვარს გამოვაცხადებთო. ქალაქის თავმა ვერ იკისრა. „რუსსკ. სლ.“-ს სიტყვით, მოსკოვის მუშებმა, ბევრგან ფაბრიკებზე, გადასწყვიტეს არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, რადგან პოლიცია გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს ამომრჩეველთაო. „ნაშა ჟიზნ“ ამბობს, რომ მარტო პეტერბ. გუბერნიაში (ქალაქებს გარდა) არჩევნებმა 100 კაცზედ მეტი იმსხვერპლა: ზოგი დაატუსაღეს, ზოგმა მოასწრო და გაიქცა; სხვათა შორის, დაატუსაღეს 6 ექიმი და 40-მდე სოფლის მასწავლებელნი, რომელთა არჩევა ჰსურდათ გლეხებს“. საზოგადოთ, ამ გუბერნიას დიდი ყურადღება მიაქცია მთავრობამ. „შესაშინებელმა რაზმმა“ შემოიარა არჩევნების წინა დღეებში იამბურგის, პეტერგოფის, შლისსელბურგის, ნოვოლადოგის და ცარსკოე სელოს მაზრები. მისმა მოქმედებამ, სამხედრო წესებმა და აწიოკებამ ხალხი საშინლად დააშინა. ვისი არჩევაც განზრახული ჰქონდათ გლეხებს, მაზრებიდან გაიხიზნენ, რადგან ჯარმა მათ დატუსაღებას მიჰყო ხელი.

ოდესაში მთავრობამ ზედი-ზედ რამდენჯერმე დაშალა მუშათა კრებები, რომელზედაც კანდიდატების შესახებ მოლაპარაკება უნდოდათ. მერე, როცა თვით ადმინისტრაციამ დანიშნა არჩევნები, მუშები აღარ გამოცხადდნენ (2000 მაგიერ 40 კაცი მივიდა); მაშინ ადმინისტრაცია თითო-თითოდ იწვევდა რკინის გზის სახელოსნოების მუშებს და მუქარით ითხოვდა მათგან—დაასახელეთ რწმუნებულებიო. მუშებმა უარი განაცხადეს ასეთ უცნაურ არჩევნებზე. პეტერბურგის ახლო, ერთ სოფლის ყრილობაზე, გლეხებმა აღნიშნეს „მოხელეთა“ თვითნებობა და სთქვეს—ვიჩივლებთ, რადგან თავისუფალი არჩევნები დაგვიშალეთო.—„რაო, მრისხანედ შეჰყვირა მამასახლისმა,—იჩივლებთ?! აბა გაბედეთ. ნახავთ, რაც მოგივათ! ციხეებში ადგილი ჯერ კიდევ ბევრია, ციმბირშიაც გასეირნება ძვირად არ ჯდება ახლა!“ თუ მამასახლისები სუსტობდნენ სადმე, პოლიცია ახლო იყო და დახმარებას უწევდა მათ, მიუხედავად იმისა, რომ კანონი უკრძალავს პოლიციის მოხელეთ არჩევნებზე ყოფნას. კანონის გვერდის აქცევა პოლიციას არ ეძნელება. აი, როგორ მოაწყვეს საქმე, მაგალითად, შლისსელბურგის მაზრაში: „ვოლოსტის კანცელარიები ორს ოთახშია მოთავსებული; ერთში შეჰყრიდნენ ამომრჩეველთ, მეორეში ისხდნენ და ყველაფერს ისმენდნენ ისპრავნიკი, სტანოვოი და 4 ურიადნიკი. როგორ გრძნობდნენ თავიანთ თავს ამომრჩევლები, კარგად უნდა გესმოდესთ“...

რა შედეგი უნდა მოჰყვეს მთავრობის ასეთ საარჩევნო ტაქტიკას, ადვილი გასაგებია: დურნოვო მიზანს მიაღწევს, ალბათ, და სათათბიროში სულ „თავის ხალხს“ შეჰყრის.

„რუსსკ. ვედომ“-ს კიევის გუბერნიიდან სწერენ: „ხალხი მეტად გულგრილად ეკიდება არჩევნებს. აგიტაციას მხოლოდ ერთი პარტია ეწევა, რადგან სხვებს უშლიან. ეს პარტიაა—„ნამდვილ რუსთა კავშირი“ და რწმუნებულთაც ამ პარტიიდან ირჩევენ მხოლოდ“. იაროსლავიდან იწერებიან: „როსტოვის წვრილ მემამულეთა სამაზრო კრებაზე აირჩიეს: 24 მღვდელი—სულ უკიდურესი მემარჯვენენი, 16 გლეხი—სულ სოფლის ჩარჩები, ერთი „ზემსკი ნაჩალნიკი“ და ერთიც ვაჭარი“. პეტერბურგის სასოფლო არჩევნების შესახებ „ნაშა ჟიზნ“ სწერს: „საარჩევნო აგიტაციას მხოლოდ სამღვდელოებასა და ჩარჩებს არ უშლიან; პოლიცია ეხმარება მათ ხულიგანურ ლიტერატურის გავრცელების საქმეში, ხოლო მათ მოწინააღმდეგეთ ატუსაღებენ და აწიოკებენ“...

მაგრამ ასეთი პოლიტიკა დურნოვო-ვიტტეს სამინისტროსი ვერარავის მოატყუებს; მხოლოდ სრულიად დაბრმავებულს შეუძლია იფიქროს, რომ არჩევნებს ხალხისთვის რაიმე მნიშვნელობა ექნება. მთავრობას ჰსურს, ქვეყანა მოატყუოს და ყალბ სათათბიროში ყალბი წარმომადგენლები შეჰყაროს, რათა მათის შემწეობით ავტოკრატია დაიცვას. ხალხს, უმეტეს შემთხვევაში, კარგად ესმის, რაც ხდება და სათათბიროს იმედი აღარ აქვს. ამიტომ, უკიდურეს პარტიების წაუქეზებლადაც ბევრგან ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს. საინტერესოა, მაგალითად, შემდეგი სცენა სარატოვის გუბერნიის ერთ-ერთ კრებაზე: „გლეხებმა უარი სთქვეს არჩევნებზე. ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და მღვდლები ურჩევენ: მაგ გზას ნუ დაადგებით; აირჩიეთ სანდო პირნი, რომელთაც შეეძლებათ თქვენის ინტერესების დაცვა სათათბიროში; ეს სარგებლობის მეტს არას მოგიტანთო. „ეჰ! თავი დაგვანებეთ; უპასუხეს გლეხებმა,—თქვენ ვისაც დაგვისახელებთ, ვისიც არჩევა თქვენ გინდათ, იმათ ჩვენ ვერ ავირჩევთ; ხოლო ვისაც ჩვენ ავირჩევთ, იმათ თქვენ დაატუსაღებთ“.

განა საკმარისი არაა ეს მაგალითებიც იმის დასამტკიცებლად, რომ მთავრობამ თვითვე გამოუცხადა ბოიკოტი თავის უმსგავსო ქმნილებას?! ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მას განუზრახავს მხოლოდ თანამედროვე წეს-წყობილების მომხრენი მოათავსოს სათათბიროში და მათის შემწეობით უზრუნველჰყოს ძველის გამარჯვება განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. განა ეს ხალხის მასხარად აგდება არაა? განა კიდევ საჭიროა იმაზე დავა—ღირს თუ არა სათათბიროში წასვლა, როცა ნათლად ვხედავთ, რომ ვიტტე-დურნოვოს ექსპერიმენტების უბრალო იარაღად ვხდებით?! გაიგონეთ ხალხის ძლიერი და საღი ხმა, რომელიც პოლიციელთ ეუბნება: „ეჰ, თავი დაგვანებეთ,—ჩვენ არ გვინდა თქვენ მიერ ნაჩვენები ავირჩიოთ“... ამათ, ამ ხალხმა იცის, რომ მოვა დრო, როცა ქვეყანა აიძულებს ბ.ბ. დურნოვოებს თავისი ინსტრუქციები შორს გადამალონ და თავისუფლად აირჩევს იმათ, ვის არჩევასაც სასარგებლოდ სცნობს.

სერ.

ერ დასახელებული ამომრჩეველნი თავ. ლ. გ. ჭავჭავაძე, თავ. ვ. ს. მიქელაძე, ა. გედევანიშვილი და თავ. ერისთავი ამ ვის დამლევს გაემგზავრებიან პეტერბურგს.

✦ **შაბიამანი და გოგირდი.** წელს, უფულობისა გამო, კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ვერ გამოიწერა შაბიამანი და გოგირდი. რა თქმა უნდა, მევენახენი დიდ გაჭირვებაში ჩავარდებიან, რადგან კერძო პირები ჯერ ერთი ვერ აწვდიან საკმაო მასალას და მეორე—ერთი რად მეტს აიღებენ. უფულობისა გამოვე ითქმის შესწყვეტა მოქმედება კავკ. საფილოქსერო კომიტეტმა და დიდად შეამცირა შტატები სამიწამოქმედო უწყების ოხელეთა.

✦ **აღმზრდელთა და მასწავლებელთა შემცირება.** უსახსრობის გამო, როგორც ვიგეთ, ზოგიერთ საშუალო სასწავლებლებში შემცირებულ იქნება აღმზრდელთა და მასწავლებელთა შტატები. იმასაც ამბობენ, რომ ჯამაგირები იქნება შემცირებული.

✦ **პროვოკაცია.** ქალაქში ვრცელდება მოწოდება ებრაელების მიმართ ვიღაც რაბინის სახელით. ეს ვითომდა რაბინი ურჩევს ებრაელებს, ყოველივე საშუალება იხმარეთ გასამდიდრებლად, რომ ბოლოს ხელში ჩაიგდოთ ქრისტიანები და ჯავრი ამოიყაროთ. ეჭვი არ არის, ეს მოწოდება ვიღაც პროვოკატორების მიერ იმ აზრით არის გამოცემული, რომ გამოიწვიონ ებრაელების ცემა-აწიოკება.

✦ **წინამძღვრის გადაყვანა.** ბოდბის დედათა მონასტრის წინამძღვარი, ტომით ქართველი, რუსეთ'ში გადაუყვანიათ. ეს იღუმენია თავის დროზე მარჯვენა ხელი იყო ცნობილ ვოსტორგოვისა. როგორც ვიცით, ამ მონასტერთან ორ კლასიანი ქალების სასწავლებელია, რომელზედაც კარგო ბლომად ფული იხარჯება. აი, ამ სკოლის საშუალებით მოქმედებდა უმთავრესად ხსენებული იღუმენია.

✦ **სენაკის მაზრის უფროსი.** სენაკის მაზრის დროებით უფროსად დაინიშნა ყაზახის ოლქის ყაკიზმანის მაზრის უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი პანაფიდინი.

✦ **ჯარში გაგზავნილნი.** 15 მარტს ბათუმიდან რუსეთში კიდევ გაჰგზავნეს 184 კაცი ახლად ჯარში გაწვეული. ესენი ქუთაისის და სენაკის მაზრებიდან არიან.

✦ **მოსწავლეთა აღელვება.** ტფილისის საშუალო სასწავლებლების უფროს კლასების მოსწავლენი ძალიან აღელვა ლეიტენანტ შმიდტის დახვრეტის ამბავმა. როგორც ამბობენ, ზოგან პანაშვიდების გადახდა მოისურვეს, მაგრამ ნება არ დართეს.

✦ **ფულის გატაცების შიში.** როგორც დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, მოსკოვის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებიდან ვიღაც შეიარაღებულმა კაცებმა 860,000 მანეთი გაიტაცეს. ამ ამბავმა ერთი მითქმა-მოთქმა ასტეხა ტფილისის საკრედიტო დაწესებულებებში. ეხლა, როგორც ხაზინას, ის სხვა საკრედიტო დაწესებულებას, მთავრობის განკარგულებით, იცავენ გაძლიერებული რაზმები. სახელმწიფო ბანკის ტფ. განყოფილებას იცავს ათამდე ცხენოსანი ყაზახი და ამდენივე სალდათი.

✦ **მუხრანის ხიდი.** 15 მარტს ტფ. ქალაქის გამგეობისა, სატეხნიკო საბჭოსი და ქალაქის წყლის მილის გამყვან კომისიის შეერთებულმა კრებამ განიხილა წერილი პროფ. პატანისა მუხრანის ხიდის პროექტის შესახებ. პროფესორი რამდენსამე შენიშვნას იძლევა ამ პროექტის შესახებ და სთხოვს გამგეობას, დამატებითი ცნობები გაუგზავნოს, რომ საბოლოოდ გამოსთქვას თავისი აზრი. კრებამ დაადგინა, აცნობოს ყველაფერი პროფესორს.

✦ **დიდი მამულის გაყიდვა.** როგორც მკითხველებმა იციან, ამას წინად ტფ. სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკში საჯარო ვაჭრობის დროს გაიყიდა თავ. ზ. ბარათაშვილის დიდი მამული (8000 დესიატინა) ბორჩალოს მაზრაში. მამული დაინარჩუნა არამიანცმა 207,700 მანეთად. არამიანცმა ეს მეორე დიდი მამული შეიძინა ბორჩალოს მაზრაში.

✦ **ექსარხოსის უარი.** სასინოდო კანტორამ შუამდგომლობა აღძრა ექსარხოსთან, რომ სააღდგომოდ საჩუქრები დაურიგდეთ კანტორის მოსამსახურეთ. ექსარხოსმა უარი განაცხადა ჯილდოების მიცემაზე.

✦ **ეკლესიის გაქურდვა.** იმერეთის ეპარქიაში ვიღაცებმა გაქურდეს ბაჯითის სამების ეკლესია.

✦ **მონასტრების დახმარება.** უწმ. სინოდმა 2000 მანეთი გაიღო ბოდბის წმ. ნინოს მონასტრისათვის და 1000 მანეთი იმერეთის ეპარქიაში არსებულ ჯიხეტის და თეკლათის მონასტრებისთვის.

✦ **„გრანდ-ოტელის“ ყუმბარების საქმე.** ტფ. სამოსამართლო პალატამ „გრანდ-ოტელის“ საქმის გამო 15 მარტს გამოჰკითხა მხოლოდ 5 მოწმეს. სხდომა პალატისა გადაიდო 16 მარტისათვის. ამ დღესაც სხდომამ გასტანა საღამოს 6 საათამდე. მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა და საქმის გამოძიება ჯერ არ დასრულებულა. შესაძლებელია განაჩენი დღეს საღამოთი გამოაცხადონ.

✦ **„სასულიერო მოამბე“.** სასინოდო კანტორამ დაადგინა, ამ ჟურნალის გაწერა სამღვდელოებისათვის სავალდებულო არ იყოსო.

✦ **რკინის გზის შემოსავლის შემცირება.** შარშან ამიერ-კავკასიის რკინის გზას სულ შემოსვლია 19.921.798 მანეთი, რომელსაც შარშანწინდელ შემოსავლის ჯამი უდრიდა 33.329.933 მანეთს. ამრიგად შარშან ამიერ-კავკასიის რკინის გზას უზარალნია 15 მილიონ მანეთამდის.

✦ **საჯარო ვაჭრობა.** 15 მარტს დასრულდა ტფ. სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკში საჯარო ვაჭრობა დაგირავებულ მამულების გასაყიდად. ამ დღეს გასაყიდად დანიშნული იყო ოთხი მამული სოფლის იმ მემამულეებისა, რომელთაც მოკლე ვადით ჰქონდათ სესხი გატანილი. ოთხი მამულიდან გაიყიდა ერთი მამული, ხოლო დანარჩენებზე ვაჭრობა გადაიდო 29 მარტისთვის. წელს გასასყიდად დანიშნული იყო სულ 103 მამული. აქედან გაიყიდა 38 მამული, უმეტესად ქალაქისა, ხოლო 65 მამულზე ვაჭრობა 29 მარტისათვის გადაიდო. გაყიდულ მამულებზე ვალი ითვლება 821,000 მან., ხოლო გაუყიდველ მამაულებზე ბანკის ვალია 1,750,000 მან. გაყიდულ მამულებიდან 17 მამული სომხისა გაიყიდა, 12 ქართველისა, 2 რუსისა, 3 თათრისა და 1 გერმანელისა.

✦ ტფ. გუბერნატორმა გუშინ აცნობა ქალაქის მოურავს, რომ საგუბერნიო მთავრობას საწინააღმდეგო არაფერი აქვს, ქალაქმა გაიღოს 5000 მან. იმ პირთა დასახმარებლად, რომელნიც 1905 წელს სომეხ-თათართა შეტაკების დროს დაზარალდნენო.

✦ ტფ. ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებას წელს ძალიან ნაკლებად აქვს შემოსავალი, ასე რომ არ იცის, რით დაჰფაროს ხარჯი. ამიტომ საზოგადოებამ გადასწყვიტა გამართოს სახალხო სეირნობა, წარმოდგენები და ბაზარიც. საზოგადოების გამგეობა ბაზარს გამართავს 24, 25 და 26 მარტს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში

✦ რადგან ქალაქს ძვირად უჯდება იმ რაზმის შენახვა (30 კაცია), რომელიც იცავს ავჭალაში წყლის მილს, ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს სთხოვა, რაზმი დაითხოვოს. გუბერნატორმა გუშინ აცნობა გამგეობას, რომ ავჭალაში ახალს განკარგულებამდე 15 კაცი დარჩება მხოლოდაო.

✦ გუშინ, ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა განცხადება შეიტანა ტფ. ქალაქის გამგეობაში. ხმოსანი აღნიშნავს, რომ ამ ბოლო ამბების გამო ხალხი გაჭირვებაში ჩავარდა, ამიტომ ქალაქმა რამე დახმარება უნდა გაუწიოსო. ხმოსნის აზრით, მცხოვრებთ, უკეთ სახლის პატრონებს, უნდა აპატიოთ დროზე შეუტანლობის გამო შეწერილი ჯარიმები 1905—1906 წლებისა, ხოლო სხვა წლებისა ნაწილ-ნაწილად გადაახდევინეთო.

✦ მკითხველებს ახსოვსთ, რომ ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტი ირაკლი ფურცელაძე უჩივის ხმოსან ბუდაღოვ-ბაღდასაროვს, ცილი დამწამაო. ეს მეოთხედ გაირჩა საქმე ტფ. სამოსამართლო პალატაში. პალატამ ეხლაც გააუქმა ამ საქმის შესახებ ოლქის სასამართლოს განაჩენი და დაავალა ოლქის სასამართლოს, ხელ-ახლა განიხილოს იგი. სამი წელიწადია ტრიალებს ეს საქმე სასამართლოებში.

✦ ტფ. ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი შეეკითხა გუშინ ქალაქის გამგეობას, შეატყობინოს, რომელი არქიტექტორი ხელმძღვანელობდა ალექსანდროვის ბაღში პუშკინის ბიბლიოთეკის შენობის აგებას. როგორც აღვნიშნეთ, ამ დღეებში ორი მუშა ჩამოვარდა მესამე სართულიდან და ერთი მათგანი მიხეილ კუდიკოვი სასიკვდილოდ დაშავდა.

✦ სუფსა. სუფსასა და ნატანებს შუა 14 მარტს სამხედრო მატარებლიდან გადმოვარდა და დაშავდა ახლად ჯარში გაწვეული ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ვასილ კარტი.

✦ ერევანი. 15 მარტს სახალხო მატარებელში მგზავრს ენაცაკანოვს ხურჯინში უნახეს ხუთი ფუთი თოფის წამალი. ენაცაკანოვი შეჰპყრეს.

✦ 16 მარტს, ღამე, იზმაილოვის ქუჩაზე მცხოვრებ ელენე ხელაევის ბინიდან ვიღაცებს გაუტანიათ 104 მან. 50 კაპ. ნივთები. ქურდი აღმოაჩინეს და მოპარული ნივთებიც იპოვნეს. ქურდი აღმოჩნდა ტფ. ევა წერო რანაშვილისა, რომელიც პასუხის გებაში იქნა მიცემული.

✦ 15 მარტს ღამე რაღაც გამოურკვეველ მიზეზებისა გამო გუნიბის ქუჩის მოაბავეში ცეცხლი გაუჩნდა ვასილ სნიტკინის სახლს. ცეცხლი გაჩნდა ერთ ოთახში. ცეცხლი რაზმმა ჩააქრო. ამგვარადვე ამ სახლს წინადაც გაუჩნდა ცეცხლი, მაგრამ მალე ჩააქრეს შინაურის საშუალებით.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. (კლემანსოს სიტყვა). როგორც გუშინაც გვქონდა მოყვანილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ჟორჟ კლემანსო კურიერში იყო გაფიცულ მუშებთან, მაგრამ სიტყვა, რომელიც მინისტრმა უთხრა შეკრებილ მუშებს, მაშინვე ვერ დავბეჭდეთ. აი ეს სიტყვაც: „მამულიშვილნო! აქ მოვსულვარ იმიტომ კი არა, რომ მონაწილეობა მივიღო თქვენს კონფლიქტში ან მოვისმინო თქვენი მოთხოვნები. ქვანახშირის მაღნების მუშა არა ვარ, არც არა მესმის რა ქვანახშირის მაღნების წარმოებისა და ამიტომ არც უფლება მაქვს განვიხილო, თუ რა პირობებით შეგიძლიათ დაუბრუნდეთ მუშაობას. მე მხოლოდ რესპუბლიკის მთავრობის წევრი ვარ და როგორც ეგეთი ვალდებული ვარ უზრუნველ ვყო ყოველ მამულიშვილის თავისუფალი მოქმედება კანონის საზღვრებში.

გაფიცვის უფლება რომ გაქვთ, ამას არავინ გეცილებათ; შეგიძლიათ ისარგებლოთ ამ უფლებით ისე, როგორც თქვენი სურვილი იქნება, მაგრამ იმას ნებას-კი ვერ მოგცემთ, რომ რომელიმე თქვენი მოწინააღმდეგე შეურაცხჰყოთ. დაემორჩილეთ კანონს და მფარველობასაც მიიღებთ. მუშის უფლება ისევე მაღლა დგას, როგორც მინისტრებისა და თვით რესპუბლიკის პრეზიდენტისა.

ეს პირველი შემთხვევაა, რომ გაფიცვის დროს ერთ ჯარის-კაცსაც ვერ დაინახავთ. მინისტრთა საბჭოსაგან გამოვითხოვე, რომ ეგრე ყოფილიყო; მოვალე ვარ გითხრათ, რომ სულ ადვილად მოვახერხე ყველა ჩემი ამხანაგების დაყოლიება. ხელს ნუ ახლებთ მაღნებს, საიდანაც თქვენ ცხოვრების სახსარს შოულობთ; სწორედ ამისთვის დავაყენე მაღნის შენობებში ჯარის-კაცები, მაგრამ თქვენ მათ ვერ დაინახავთ. მე სრულიად არ შემეხება, თუ ორშაბათს ყველა გაიფიცებით. მაგრამ თუ ამ გზას დაადგებით, თქვენვე მოგანდობთ წესიერებაზე ზრუნვას. თუ ჩემ რჩევას დაიჯერებთ, საფრანგეთსა და მთელ ქვეყანას დაანახვებთ საუცხოვო სურათს გაფიცვის მშვიდობიან განვითარებისას. ჩვენ გენდობით თქვენ.

რესპუბლიკის სახელისათვის აასრულებთ ჩემ რჩევას, არ მოატყუილებთ ჩვენს ნდობასა და თქვენის ყოფაქცევით ხელს შეუწყობთ თავისუფალ სამშობლოს განვითარებას—ამ თავისუფალ სამშობლოში ყველა მამულიშვილების გულში ფესვებს გაიდგამს გრძნობა სოციალურ სამართლიანობისა“.

საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრი რომ ასე ლაპარაკობდა, ამავე დროს რუსეთში რა ხდებოდა, ყველამ ვიცით, მაგრამ არ შეგვიძლია მაინც არ მოვიყვანოთ 13 მარტის დეპეშა, ჩიტადან:

„გენერალ რენენკამფის განკარგულებით სამართალში მიცემულ 13 მოხელეს, რომელთა დანაშაული გაფიცვაში მონაწილეობა იყო, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტესო“.

რუსეთი

ახალი ცნობა შმიდტის საქმის შესახებ. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ჩუხნინს პეტერბურგიდან მიღებულ ნებართვის თანახმად დაუმტკიცებია სასამართლოს განაჩენი. ამ საქმის გამო პეტერბურგში საგანგებო კრება მოუხდენიათ. კრებაზე გადაწყვეტილი შმიდტის დახვრეტა. კრებაზე დასწრეთა (მეტადრე დურნოვოს და სამხედრო მინისტრის რედიგერის) აზრით, ყოველივე შებრალება ამ შემთხვევაში ცუდად იმოქმედებს ჯარის ისედაც შერყეულ დისციპლინაზეო. ამ გვარად ეს 4 კაციც მხოლოდ დისციპლინის დასაცავად დაუხვრეტიათ. როგორ გათავდა კაცის სიცოცხლე!

მღვდლის დათხოვნა. პეტერბურგში ვვედენსკის გიმნაზიის საღმრთო სჯულის მასწავლებელი—მღვდელი დაუთხოვნიათ სამსახურიდან, რადგან მან შმიდტის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა.

განკარგულება შმიდტის ხსოვნის აღმოსაფხვრელად. პეტერბურგის-მოსკოვის ეკლესიებს საგანგებოდ დაყენებული დარაჯები იცავენ, რომ შიგ არავინ შევიდეს და შმიდტის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი არ გადაიხადოს. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, პოლიციამ თვალ-ყური ადევნოს მაღაზიებს, რომ არსად არ გაჰყიდონ ღია წერილები შმიდტის სურათით. დაჭერილი სურათები უნდა მაშინვე დასწვან ან დაჰხიონ.

კიდევ სიკვდილის მისჯა. ბობრუისკში სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე სადისციპლინო ბატალიონის ჯარის კაცებისა, რომელნიც იარაღით ხელში გამოვიდნენ ბატალიონის მოედანზე, გამოიხმეს მთავრობა და წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნა. როგორც ჯარის უფროსის აღწერიდან სჩანს, ამაზე მეტი არა ჩაუდენიათ-რა ჯარის კაცებს და, როდესაც აღუთქვეს თხოვნის ასრულება, სრულიად დამშვიდდნენ. ამ გვარად ამ მოძრაობას მშვიდობიანი გაფიცვის ხასიათი ჰქონდა, სასამართლომ კი მაინც 13 კაცი დახვრეტა გადაუწყვიტა. ნუ თუ მხოლოდ დისციპლინის დასაცველად ხოცავენ ამოდენა ხალხს?

სასოფლო-მეურნეობა და კაპიტალისტური განვითარება

VII. ევროპის მუშათა პარტიები და სასოფლო მეურნეობა.

(დასასრული *)

ბელგიიდან გადავიდეთ ჰოლანდიაში. ფლიგენი, ჰოლანდიის მარქსიზმის ერთი მეთაურთაგანი, სწერს: გამოცდილებამ დაგვარწმუნა მე და ჩემი ამხანაგები, რომ აგრარულ საკითხის და აგრარულ ურთიერთობის შესახებ უნდა ვიხმაროთ სხვა საზომი, ვიდრე ვხმარობთ ინდუსტრიაში. განსხვავებას მიწათმოქმედებასა და ინდუსტრიას შორის ფლიგენი ყველაზე უწინარეს ასე ახასიათებს: „სრულის დანამდვილებით შევვიძლიან ვსთქვათ, რომ სასოფლო მეურნეობაში არსებობს კაპიტალისტურ მეურნეობის ყველა ცუდი მხარე და არ არსებობს კარგი მხარეებიო“. ჰოლანდიის მაგალითი ერთხელ კიდევ ამტკიცებს ფოლმარის, გატტის, ჰერცისა და სხვათა აზრს. ჰოლანდიაში არა სჩანს სამიწათ-მოქმედო წარმოების კონცენტრაცია; პირიქით, აქ ხდება მისი დანაწილება. მიზეზები იგივეა, რაც სხვაგან: სასოფლო-სამეურნეო კრიზისი, მიწის მოთხოვნილების გაფართოვება და სხვ. ამას ჩვენი ავტორი უმატებს: ერთი იმის მიზეზთაგანი, თუ რისთვის არ არსებობს კონცენტრაციის ტენდენცია, არის „ის ფაქტი, რომლის უარყოფაც არ შეგვიძლიან ჰოლანდიაში, სახელდობრ ის, რომ მიწა წვრილ მეურნეობაში უფრო მეტს მოგებას იძლევა, ვიდრე მსხვილში. ეს აიხსნება იმით, რომ მიწა პირველში უკეთესად არის დამუშავებული და უკეთესი მოვლაც აქვს“. ბოლო წლებში ვხედავთ, რომ ნაწილი სამიწათ-მოქმედო პროლეტარებისა ახერხებს მიწის შეძენას და ხდება დამოუკიდებელ წვრილ მესაკუთრე ან მოიჯარადრედ. „საზოგადოდ, ის უნდა დავასკვნათ,—ამბობს ფლიგენი:—რომ ჰოლანდიის სასოფლო მეურნეობაში ვერ ვხედავთ მსხვილ წარმოების განვითარებას, რომელიც აღიარებთ აუცილებელ პირობად უმაღლეს სამეურნეო ორგანიზაციის განსახორციელებლად. ამგვარად, თუ აგრარულ ურთიერთობის შესახებ ვიხმართ იმავე საზომს, რომელსაც ვხმარობთ ინდუსტრიაში, ის უნდა ვიფიქროთ, რომ სასოფლო მეურნეობის დღევანდელი განვითარება რეგრესიულია და არა პროგრესიული“. მაგრამ ფლიგენი სრულებით არა ფიქრობს ასე და აცხადებს, რომ არა ფიქრობენ ასე ჩემი ამხანაგებიცაო. იმის შეხედულებით, სხვა და სხვანაირია მიწათმოქმედების და ინდუსტრიის განვითარება. „მართლაც, გვეკითხება იგი: რისთვის გვიხარიან კაპიტალისტურ განვითარების გამარჯვება? არა იმიტომ, რასაკვირველია, რომ იგი ჰქმნის პროლეტარებს, იწვევს ხალხის გაყვლეფას, არამედ იმიტომ, რომ მისი განუშორებელი და აუცილებელი შედეგია საწარმოვო საშუალებათა განვითარება და გაუმჯობესება წარმოების სხვა და სხვა დარგში. მაგრამ სასოფლო მეურნეობაში მსხვილ კაპიტალის გაბატონება იწვევს პირველს, ცუდს, შედეგებს და ჯერ-ჯერობით არსად ვხედავთ კაპიტალის კარგს შედეგებს. ამიტომ საჭირო არაა, მოვუცადოთ სასოფლო მეურნეობის კაპიტალიზაციას“... „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ,—განაგრძობს ავტორი—რომ სასოფლო მეურნეობაშიაც მსხვილი წარმოება საუკეთესო ფორმაა წარმოებისა, მხოლოდ არ არსებობს ისეთი „ბუნებრივი კანონი“, რომლის ძალითაც აუცილებელი და ერთად ერთი საშუალება მსხვილ წარმოების განსახორციელებლად უნდა იყოს კაპიტალიზმის განვითარება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსხვილი წარმოება შეიძლება მოეწყოს ამხანაგობათა შემწეობითაც. სათემო მიწის მფლობელობამ უნდა გამოიწვიოს მიწის სათემო, საზოგადო დამუშავება და სარგებლობა“.

ასეთია თეორეტიული მსჯელობა კრიტიკულ მიმართულებისა აგრარულ საკითხის შესახებ. ახლა ვნახოთ, როგორ გამოიხატა ახალი მიმართულება ევროპის მუშათა პარტიების კრებებზე. 1892 წელს მარსელში საფრანგეთის ორტოდოქსმა მარქსისტებმა, გედისტებმა, შეიმუშავეს (და შესწარეს შემდეგ კონგრესზე ნანტში) თავისი აგრარული პროგრამა, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი მუხლებია: „მუხლი 3. თემებს აკრძალული აქვთ სათემო მიწის გაყიდვა; სახელმწიფომ იჯარით უნდა მისცეს თემებს მიწები domaniaux maritimes და სხ., რომელნიც დღეს დაუმუშავებელია; თემების ზედმეტი ფული უნდა მოჰხმარდეს სათემო საკუთრების გაფართოვებას.—მუხლი 5. თემმა მიწები (სახელმწიფოზე დარჩენილი, თემის საკუთრება ან ახლად შეძენილი, თემის მიერ) უნდა გადასცეს გაჭირვებულ ოჯახებს, რომელნიც შეადგენენ ამხანაგობას ან სცხოვრობენ მიწის შემოსავლით, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ არ უნდა დაიქირაონ მუშები და გადასახადი გადაიხადონ თემის სასარგებლოდ. მუხლი 8. თემმა უნდა იყიდოს სახელმწიფოს დახმარებით ან დაიქირაოს სამიწათ-მოქმედო მანქანები და ათხოვოს უფასოდ წვრილ მიწათმოქმედებს; უნდა დაარსდეს სამიწათმოქმედო ამხანაგობანი სასუქის, თესლის, მცენარეების და სხ. შესაძენად, აგრეთვე თავის ნაწარმოების გასასყიდად“. ამავე დროს ასეთივე პროგრამები მიიღეს „ალემანისტებმა“ და „პოსიბილისტებმა“.

1893 წ. ანალოგიური პროგრამა შეიმუშავა რუმინიის პარტიამ. პროგრამა შეიცავს ასეთ მოთხოვნილებებს: „სახელმწიფომ თანდათან უნდა შეისყიდოს მიწები მსხვილ მესაკუთრეებისაგან; ეს მიწები საქველმოქმედო დაწესებულებათა მიწებთან ერთად ხელუხლებლად უნდა დარჩეს და გადაეცეს სასარგებლოდ პირდაპირ მწარმოებლებს გლეხებს, უფრო-კი უნდა მიეცეს თემებს საერთო სარგებლობისათვის; დაარსდეს სათემო, საზოგადო საძოვრები“.

ამავე წელს შემუშავდა ბელგიის აგრარული პროგრამაც, რომელიც მოითხოვს: „ტყეების ნაციონალიზაციას, სათემო მამულების აღდგენას და განვითარებას, მიწების პროგრესიულ გამოყიდვას სახელმწიფოსა და თემის მიერ“; მოითხოვს, რომ „თემმა შეიძინოს სამიწათმოქმედო მანქანები და იარაღი და ათხოვოს მცხოვრებთ. სათემო მამულები გადაეცეს მომუშავეთა არტელებს იმ პირობით, რომ არ ისარგებლონ დაქირავებულის შრომით, რომ საზოგადოებრივ დაწესებულებათა დახმარებით დაარსდეს სამიწათმოქმედო კოოპერაციები: 1. თესლისა და სასუქის შესაძენად: 2. ერბოს გასაკეთებლად; 3. მანქანებისა და იარაღის სასყიდლად; 4. ნაწარმოების გასასყიდად; 5. მიწის საზოგადო დამუშავებისათვის“ და სხ.—ეს პროგრამა შესწორებულ და შევსებულ იქნა 1893, 1897 და 1898 წლებში.

გერმანიის პარტიის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

1896 წ. იტალიის პარტიამ, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატების ძლიერის გავლენის ქვეშ იმყოფება, გამოაცხადა: პარტიის წევრებს შეუძლიანთ, ხელი შეუწყონ კოოპერაციების დაარსებას ნაწარმოების შესანახად, დასამუშავებლად და გასასყიდად, სასუქის და სამიწათმოქმედო იარაღის შესაძენად და სხ. მაგრამ 1900 წ. რომის კრებამ უფრო გადაჭრით და აშკარად დაუჭირა მხარი სათემო საკუთრებას და კოოპერატიულ მიმართულებას.

ჰოლანდიამ შეიმუშავა თავისი აგრარული პროგრამა უტრეხტის (1896 წ.) და არნჰეიმის (1897) კონგრესებზე. პროგრამას კიდევ უფრო სათემო ხასიათი აქვს, ვიდრე საფრანგეთისას. იგი მოითხოვს, რომ თემს არამც თუ შეძენის უპირატესობა უნდა ჰქონდეს მიწის გაყიდვის დროს, არამედ უნდა შეეძლოს ძალად გამოისყიდოს მიწები, განსაკუთრებით ის მიწები, რომლებიც დაუმუშავებლადაა დარჩენილი, და ამ გვარად მომავალში ყველა მიწები უნდა გადავიდეს თემის საკუთრებაში პროგრამა თხოულობს აგრეთვე ზომებს სათემო და საარტელო მიწათმოქმედების გასავითარებლად.

1900 წ. შემუშავდა ავსტრიის პროგრამა, რომელშიაც შემდეგი მოთხოვნილებანია: „განსაზოგადოებრივება ტყეებისა, მინდვრებისა და წყლის ძალებისა სახელმწიფოს, სოფლის ან თემის მიერ; გაფართოვება სათემო მიწებისა, განვითარება დემოკრატიულ ამხანაგობათა; სამელიორაციო მუშაობის მოწყობა სახელმწიფოსა და სასოფლო თემის მიერ“ და სხ.

სათემო და კოოპერატიულ ხასიათისაა დანიის და უნგრეთის აგრარულ პროგრამებს.

ვათავებთ: დიდი ბრძოლა გამოიარა, გრძელი გზა განვლო აგრარულმა მიმართულებამ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ უარჰყო ოფიციალურად აგრარულ განვითარების თავისებურობა, დოგმა გამარჯვებული დარჩა ოფიციალურად, მაგრამ ფაქტიურად ახალს მიმართულებას ძლიერი გავლენა აქვს გერმანიაში; რაც შეეხება დანარჩენ ევროპას, მუშათა ყველა პარტია სულ უფრო და უფრო ემხრობა ახალ მიმართულებას. ძველ-ძველი ფეტიშიზმი თან და თან ჰქრება, დოგმატიზმი კვდება და დღითი-დღე ახლოვდება ის ჟამი, როდესაც სრულს გამარჯვებას მოიპოვებს ფლიგენ-გატტის-ფოლმარ-ჰერცის შეხედულობა. არსებობს ორი ძირითადი ტიპი აგრარულ ევოლუციისა—კაპიტალისტური და არა-კაპიტალისტური. რასაკვირველია, საჭირო არის, რომ ამა თუ იმ ქვეყნის აგრარული ევოლუცია იყოს მხოლოდ ან ერთის, ან მეორე ტიპისა; შეიძლება შერეული ტიპებიც; შეიძლება აგრარული ევოლუცია ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობდეს ორსავე გზით, ნაწილი ევოლუციისა ერთის გზით, ნაწილი—მეორე გზით. მხოლოდ დროისა და ადგილის პირობების ფრთხილ და დაკვირვებულ შესწავლის შემწეობით შეგვიძლიან გამოვიცნოთ, თუ რამდენად ძლიერი იქნება ესა თუ ის მიმდინარეობა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა ავირჩიოთ არა-კაპიტალისტური გზა და ყოველის საშუალებით უნდა ვეცადოთ, რომ ამ გზაზე დავაყენოთ განვითარება,—რაც შეიძლება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და სათემო საკუთრების შემწეობით.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 8024.

მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების ბანკის გამძარცველთა ვინაობა. ხმა გავრცელდა, რომ პოლიციამ მიაგნო მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების ბანკის გამძარცველთა კვალსაო. ამბობენ, ეს რევოლიუციონერებისა-კი არა, ვარშაველ ქურდების საქმე უნდა იყოსო. ესენი თურმე წინდაწინვე დადიოდნენ ბანკში და იქაურობას ათვალიერებდნენ.

აგრარული მოძრაობა. გორბატოვიდან ატყობინებენ გაზ. „რეჩს“, რომ მაზრაში ხელახლად დაიწყო აგრარული მოძრაობა: გადასწვეს სახლ-კარი მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისა და ერობის გამგეობის თავმჯდომარისა. ეს უკანასკნელი შავრაზმელთა მომხრედ არის ცნობილი.

წერილები

ქიზიყი. საერთო მოძრაობაში, როგორც მოგეხსენებათ, ქიზიყმაც მიიღო მონაწილეობა, თუმცა სხვებზე უფრო სუსტად. სამაგიეროდ, სხვაგან წვადაგვა იყო, ჩვენში ამისთანა რამეს ადგილი არა ჰქონია. ყოველი მოთხოვნილება ქიზიყელებისა სამართლიანი იყო. სხვათა შორის ქიზიყელებმა ტყის ყარაულები დაითხოვეს. როდესაც ამ ვაჟბატონების თვითნებობამ იქამდის მიაღწია, რომ თოფით ხოცვა დაუწყეს ხალხს, აღელვებულმა გლეხობამ სახლისკენ გაამგზავრა ისინი. ტყის ყარაულების საქმე ისე გამწვავდა, რომ 17 ნოემბერს, ადმინისტრაციის ინიციატორობით, სიღნაღში მოიწვიეს მთელი ქიზიყი და სიღნაღის მაზრის ტყეების გამგენი თავიანთ „ობეშჩიკ“-ყარაულებით. უნდა გამოეკვლიათ გამწვავების მიზეზი. ამ კრებაზედ დამტკიცდა საშინელი მექრთამეობა და ხალხის ძარცვა-გლეჯა. ბევრმა ხმაც-კი ვეღარ დასძრა, ისეთი საბუთები წარადგინეს. საქმის გამოძიების შემდეგ ადმინისტრაციამ, ტყის გამგეთა თანხმობით, გამოუცხადა ხალხს, ტყეები მიეღოთ თავის გამგეობაში, რომ უკედ შეენახათ და არ გაეჩეხათ, ისე როგორც ძველ გამგე-ყარაულების ხელში ხდებოდა. ხალხმა სურვილი განაცხადა ტყეების მიღებაზედ, მხოლოდ სთქვა, ჩავიბარებ მაშინ, როდესაც კომისია გასინჯავს, რომ წინანდელი გაჩეხილი ტყეები ჩვენ არ დაგვბრალდესო. დრო მიდიოდა, კომისია არსადა სჩანდა, თუმცა ხალხს ძალზე სჭირდებოდა ტყე, მაგრამ ისე გაამაგრა, რომ არავის აჭრევინებდა. ვაჰქონდათ მხოლოდ ხმელი შეშა. ასე გასინჯეთ, სათავადო ტყიდან თავადების ბარათითაც არავის აზიდვინებდნენ ნედლ ხეებს. მაგრამ იუდა დროს ეძებდა... რათა ხალხი შეცდომაში შეეყვანა, რომ ამათ მთავრობის მოქმედება გამოეწვიათ. ბოდბისხევის მამასახლისმა ტ. ბ—მა და ამავე სოფლის ამბარდარმა ი. ხ—მა ნედლი ხეების გამოზიდვა ბარათების ძლევა დაუწყეს ხალხს. ხალხი მოსტყუვდა, ნება დართული ეგონა. ამგვარად ერთი მეორის მიხედულობით დაესია ქიზიყი ტყეებს. ამის შემდეგ ეცნენ ადმინისტრაციას და მოახსენეს: ხალხი ტყეებს დაესია და სტრაჟნიკები გამოგზავნეთ მათ შესაჩერებლადაო. ბოქაულის მეთაურობით, გაგზავნეს საეროზო დარაჯები. ტყის ჩეხვა შეჩერდა, მაგრამ ხსენებული მამასახლისი ყოველდღე თავის გზირებით ცაძრწის და ეძებს გამოზიდულ ხეებს. ერთ ურემს სამ ურმად სამ ურემს ათ ურმად ნიშნავს სიაში, რომ ოქმი შეადგინოს. ეს ოინები რომ არ გამოუმჟღავნდეს, ამიტომ თავის დამქაშებს ატარებს ხმის გასავრცელებლად: სურს ათქმევინოს ხალხს, აგიტატორებმა მიგვასიეს ტყეებსაო. ამით ჰპირდება, აგცილდებათ ზღვევინებაო. მაგრამ, იმედია, ხალხი ჩაფიქრდება და მიხვდება ყველაფერს.

დროებით ქიზიყელი

ქ. თელავი. კარგა ხანია, კახთა დედა-ქალაქ თელავის ავ-კარგი აღარ ყოფილა აღნუსხული გაზეთის ფურცლებზე. ავი, თორემ კარგს ვინ გვადირსებს, იქნება ესეც რეაქციის ბრალია? მართალია, რეაქციის ღვიძლი შვილი რეპრესიები თელავში არ განხორციელებულა, მაგრამ იმის მოლოდინში თელავი თრთოდა და სულ გაინაბა, ნამეტნავად ბურჟუაზიული ნაწილი წყევლა-კრულვით იხსენიებდა რაღაც ერთობა-თავისუფლება-თანასწორობას, რომლის დროსაც ისე ვეღარ ივსებდა ჯიბეებს და ამის მიუხედავად თვითონაც ამ სიტყვებს გაიძახოდა.

20 თებერვალს ქალაქის პოლიციამ, ჟანდარმის და ყაზახების თანადასწრებით გაჩხრიკეს აჯმამუდოვის თეატრი, რომელშიაც უფრო უბრალო ხალხი დაიარებოდა წარმოდგენების დროს, რადგან იაფ-ფასიან წარმოდგენებს აქა ჰმართავდნენ, თორემ მეორე თეატრის დარბაზში კლუბის მამები არ უშვებენ ამათ, კალოშები არა აქვთ და იატაკს გაგვიფუჭებენო. თუმცა გულდასმით გაჩხრიკათ, მაგრამ, როგორც გავიგეთ, ისეთი ვერაფერი აღმოუჩენიათ ორიოდე პროკლამაციის გარდა. ეს ამბავი მწრაფლ მოედო მთელ თელავს. დაიწყეს განგაში: ვისაც ჭკუა აქვთ. თეატრში ფეხს შესდგამს წარმოდგენების დროს, თორემ ყაზახები ამოჰხოცავენო და ვინ იცის, რამდენ ამისთანა მარგალიტებს აგორებენ. არავისთვის არაა სასიამოვნო ასეთ ჭორების გავრცელება, თორემ ვინ აიტკიებს თავს სახალხო წარმოდგენებისთვის. ამას ის არა სჯობია, რომ თავისუფალი დრო ღვინის სმას მოანდომონ, ბილიარდზე მკლავები და ნარდზე თითები ივარჯიშონ, ბანქოში თავი გაირთონ, ტერფასთან არშიყობაში დრო გაატარონ. მე ამას ვამბობ იმისთვის, რომ თელავში ბევრ საზოგადო საქმეს მოჰკლებია ბოლო ამის წყალობით. თურმე ერთი სიმპატიური ამხანაგობაც არსებობდა თელავში იაფ-ფასიან წარმოდგენების მმართავი, ჯერ მისი ნაყოფი არავის ეხილნა, რომ ამას წინად ამხანაგობის წევრთ ლიკვიდაცია მოუხდენიათ და ანდერძიც აუგიათ.

სწორედ თეატრის გაჩხრეკის მეორე დღეს თელავის ბოქაული რატიშვილი ტფილისში წავიდა. მისი წასვლა, როგორც ამბობენ, სრულებით მოულოდნელი ყოფილა და არა თუ უფროსებს არა სცოდნიათ, არამედ არც თანამოსამსახურეებს. მისმა წასვლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბ-ნი რატიშვილი სიღნაღის მაზრიდან გადმოიყვანეს, სადაც უფრო მაღალი ადგილი სჭირებია. იმაზე რაღაც ცუდი ხმები დადიოდა, რომელიც თურმე სიმართლეს არ შეეფერებოდა, ახლა გაჩხრეკა დაავალეს სხვა საიდუმლო ქაღალდების ასრულება, ყველა ეს ვერ აიტანა, მიატოვა სამსახური და გაეცალა თელავსაო.

განმათავისუფლებელ მოძრაობის გამო ჩაშლილი ცნობილი თელავის „ბულვარნი სტატისტიკოსთა კომიტეტი,“ ეხლა ისევ შესდგა. რადგან კომიტეტში ყველა უწყების წარმომადგენელნი იღებენ მონაწილეობას და კარგა ხანი, რაც აღარ მოქმედობდა, ძლიერ ბევრი მასალა შეკრეფილა და ფრიად საინტერესოა კომიტეტის სჯა-ბაასი ეხლანდელ საქმის ვითარებაზე. ამბობენ, სათათბიროს შესახებ ამომრჩეველთა არჩევნებში და კანდიდატების გამონახვაში კომიტეტი დიდ აქტიურ მონაწილეობას მიიღებსო.

ურწმუნო თომა.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

14 მარტი

პეტერბურგი. თ.-აზნაურთ სახელ. საბჭოში ამომრჩევლებად აირჩიეს: ეკატერინოსლავში გოფმეისტერი სტრუკოვი და სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ალექსეენკო; სმოლენსკში—საზოგადო მარშალი ხომიაკოვი და გუბერნიის სამართველოს მოხელე ტანცოვი; ნოვოჩერკასკში—ეფიფოვი—პროგრესისტი და მაიმალი დენისოვი—პარტიას გარეშე მდგომი. წვრილ მემამულეთა კრებაზე გრაივორონის მაზრაში აირჩიეს 25 რწმუნებული გლეხი; სუჯაში ქალაქის კრებაზე კანდიდატები კადეტები; უსმანში მემამულეთ აირჩიეს ამომრჩევლებად გენერალი დეკანოზი,—ორივე კონსერვატორი.

ხარკოვი. მთამადნების მრეწველთა კრება 6 აპრილისთვის გადაიდვა. ორთქლმავლების საკუთრივ ქარხნიდან 300 მუშა ითხოვეს.

რიჟიცა. ქალაქში დაბრუნდა პოდპოლკოვნიკ ვოლკოვის დამსჯელი რაზმი, რომელმაც 3 თვემდე დაჰყო მაზრაში, შემოიარა 10 ვოლოსტი, დაიჭირა 300 კაცი, რომელთ რიცხვში იმყოფებიან ქურდები, მძარცველები და რევოლიუციონერები.

ლანსი. მადნის მუშების უმეტესობა მუშაობას იწყებს. ელიან გაფიცვის სრულ შეწყვეტას.

პარიზი. ნანტში სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე არტილერიის კაპიტან დეკრუასი, რომელსაც უფროსისათვის დამორჩილებაზე უარის თქმა ედებოდა ბრალად საეკლესიო ქონების აღწერის დროს. დეკრუამ განუცხადა სასამართლოს, რომ მას არ შეეძლო და არ შეუძლია რწმენის წინააღმდეგ ფიზიკურ ძალის ხმარება. სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო დეკრუა.

კუპიანსკი. 26 რწმუნებულმა ამომრჩევლებად აირჩიეს 3 გლეხი კონსტიტუციონალისტი, 2 მასწავლებელი, 3 ვაჭარი, 2 მამასახლისი და ვოლოსტის მწერალი.

ვალკი. 32 რწმუნებულთ აირჩიეს ამომრჩევლებად 2 გლეხი, პარტიის გარეშე მყოფი, ვოლოსტის მწერალი და 1 კონსტიტუციონალისტი.

ალჟესირასი. დღევანდელ სხდომის შესახებ იუწყება ოფიციალური ანგარიში, რომ კონფერენციამ განიხილა და მოიწონა მე-20 მუხ. კანონ-პროექტისა, რომელიც მაროკოს ბანკისათვის თვალ-ყურის დევნების საკითხს შეეხება. იმას გადაწყვეტა, თუ რამდენ უცხოელ სახელმწიფოთ ბანკს უნდა მაენდოს თვალ-ყურის დევნების უფლება, გადაიდო სანამ ზოგიერთ დელეგატს საჭირო ინსტრუქცია მოუვიდოდეს ამის შესახებ. შემდეგ კონფერენციამ განიხილა კანონ პროექტი მაროკოს პოლიციისა. სარედაქციო კომისიამ მცირედის ცვლილებით მიიღო 1, 2, 4, 5, 9 და 10 მუხ., მე 3-ე მუხლი შესახებ პოლიციის რეგლამენტის მომზადებისა და მე-6-ე შესახებ იმისა, თუ რომელმა სახელმწიფომ უნდა დანიშნოს საპოლიციო ინსპექტორი. გადაიდო, სანამ საჭირო ინსტრუქციებს მიიღებდნენ ზოგიერთი დელეგატები. მიიღეს მე 7-ე და მე 8 მუხლები; პირველი შეეხება ინსპექტორის დამოკიდებულებას დიპლომატიურ კორპუსისაგან, მეორე გამოძიების წარმოებას, რაც ზოგიერთ შემთხვევებში მიენდობა პოლიციის ინსპექტორს სადიპლომატო კორპუსის მოთხოვნით. მე 11-ე მუხ. განხილვა შემდეგ სხდომისთვის გადაიდო, რომელიც ხუთშაბათისთვისაა დანიშნული.

პინსკი. 1396 მუშიდან არჩევნებში მონაწილეობა 1105-მა მიიღო. აირჩიეს 4 რწმუნებული; ამათში 3 ებრაელია და 1 ქრისტიანე, უფლებრივ წესრიგის წევრი.

პეტერბურგ. პროსკუროვში აირჩიეს ქალაქიდან მაქრის ქარხნის პატრონი და ორაქმა,—ყველა ებრაელები; საპოჟკაში აირჩიეს 1 კადეტი; ბოგოროდსკში—5 კადეტი; 3 ვაჭარ-მრეწველთა პარტიისა, 1 პარტიის გარეშე მდგომი და მარშალი სამარინი—მონარქისტი; სერგიევსკი პოსადში სასულიერო აკადემიის პროფესორი და ვაჭარი. მსხვილ მემამულეთა კრებებზე აირჩიეს მოსკოვის მაზრაში კადეტი ზელინოვი, ბოგოროდიცკი მაზრაში—მონარქისტი სლავიანოფილი ფედორ სამარინი; კლინსკი მაზრაში—ზომიერი თავადი გრიგ. გაგარინი; ვერეისკი მაზრაში—იაკინჩიკოვი—17 ოქტომბრისტი; ზვენიგოროდსკისში—პავლე შერემეტიევი—კონსერვატორი; ვოტებსკისში—მაზრის მარშალი, საგუბერნიო სამმართველოს წევრი, საერობო ხმოსანი, ვოლოსტის მამასახლისი, 2 კათოლიკე; სოსნიცკში—მექარხნე, ვაჭრობის საქმის მწარმოებელი, 2 ყოფილი მწერალი, ვაჭარი, 2 გლეხი და ყაზახი; მოსოლსკი მაზრაში—გუბერნიის მარშალი ვულჩევო, მაზრის მარშალი კოლოსოვი, საერობო გამგეობის თავმჯდომარე მილლერი და მარშლათ ნაშოკოვი შეჟდეევი. წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს ნეველში მემამულე—პროგრესისტი, ვოლოსტის სასამართლოს თავმჯდომარე და მღვდელი—კონსერვატორი.

ტოკიო. მთავრობამ მიიღო ახალი სადამოჟნო ტარიფი აშკარა მფარველ ხასიათისა.

პეტერბურგი. „რუს კონსერვატორი“ ავრცელებს ხმებს, ვითომც ვაჭრობისა და მრეწველობის პარტიული საზოგადო მოღვაწე სამარინისათვის შეეთავაზებინოთ. ქალაქის საარჩევნო კრებებზე აირჩიეს: მოგილევში 12 ებრაელი, ამათში 5 პარტიის გარეშე მდგომებია, 5 ზომიერები, 3 კადეტი 2 სოციალ-დემოკრატი; ვინიცაში—4 ებრაელი, 2 მართლმადიდებელი,—ყველანი კადეტებია; ოლგოპოლში—3 ქიმი ებრაელი; ოდოევში—ქალაქის სტაროსტა; შავლში—2 ებრაელი პროგრესისტი; სტარაია რუსაში—ქალაქის თავი—17 ოქტომბრისტი. საერობო აგრონომი—კადეტი; ვენევში—ვაჭარი; პრონსკში—ფონ-დერვიზი—17 ოქტომბრისტი, და სახალხო-სკოლების ინსპექტორი—პროგრესისტი.

პეტერბურგი. სიმბირსკის გუბერნიის ქალაქ ბუინსკში აირჩიეს მემამულეთა კრებაზე ჩუვაშთა სკოლების ინსპექტორი და ინსპექტორი სახალხო სკოლებისა; ცივილსკი მაზრაში—ქსენძი და სამი მემამულე—პროგრესისტები; ჩაუსში—მარშალი—უფლებრივ პარტიის წევრი, მღვდელი—17 ოქტომბრისტი, გლეხი,—პარტიის გარეშე მდგომი; ხარკოვის მაზრაში—მაქსიმ კოვალევსკი, მაზრის მარშალი, ერთი მებატონე; სვენციანსკი მაზრაში—ორი ქსენძი და ერთი აზნაური; ევპატორიაში—ორი ებრაელი 17 ოქტომბრისტი, პოდპოლკოვნიკი; ერთი მუსულმანი—პარტიის გარეშე მდგომი; ოდესაში—3 კადეტი, 1 17 ოქტომბრისტი; ტამბოვში—5 17 ოქტომბრისტი, 2 ვაჭარ-მრეწველთა პარტიისა, ერთი მღვდელი; ვიტებსკში—მაზრის მარშალი, საგუბერნიო საერობო გამგეობის წევრი, საერობო ხმოსანი, ვოლოსტის მამასახლისი; ლიდაში—24 აზნაური, 5 გლეხი, 15 ქსენძი,—უმეტესობა კათოლიკე-პროგრესისტებია; ბორისოვში—9 მღვდელი, 5 გლეხი, მებაღე, მოხელე; კალუგაში—გუბერნიის მარშალი მაზრის მარშალი, თავმჯდომარე საერობო გამგეობისა; მალოიაროსლავეცში—გლეხი; ბორისოგლებსკში—6 აზნაური; რეჟიცაში—სახელმწიფოთ სავინო—ზომიერი ლიბერალი

მოსკოვი. ქალაქის ამომრჩეველთა რიცხვი მთელს გუბერნიაში, გარდა მოსკოვის მაზრისა—ასეთია: 11 მონარქისტი, 11 კადეტი, 9 ვაჭარ-მრეწველთა პარტიის წევრი, 11—17 ოქტომბრისტი და 4 ველური.

ლონდონი. „პეტერბურგის სააგენტო“-ს კორესპონდენტს ოფიციალურათ აცნობა ინგლისის მთავრობამ რომ რუსეთის კონსული ბენდერ-აბასში არ ჩარეულა ინგლის-სპარსეთის დავაში კაბელის გაყვანის შესახებ.

პეტერბურგი. მემამულეთა არჩევნებზე აირჩიეს ამომრჩევლებად: ბელგოროდში ორი მემამულე,—მემარცხენე, პოკროვში—მსხვილი მემამულე პროგრესისტი, ოზიურში—მემამულე, მარშალი, საერობო უფროსი, პროკურორი,—17 ოქტომბრისტი; პეტერბურგის მაზრის მესამე და მეოთხე ნაწილებში წვრილ მემამულეთ აირჩიეს: 15 რწმუნებული—კადეტები და 8 ოქტომბრისტი

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

15 მარტი

პეტერბურგი. პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, ჩიტიდან 13 მარტს დეპეშა მოვიდა პეტერბურგში, რენენკამპფის ბრძანებით პასუხის გებაში მიცემულ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისთვისაო. ბრალდებულთ ხელმწიფეს სთხოვეს შეწყალება.

გაზეთ „ნაშა ჟიზნ“-ის რედაქტორების საქმე გაარჩია უმართებულესმა სენატმა და დაადგინა: „სასამართლოს განაჩენი, რომლითაც რედაქტორები გამართლებულ იქნენ, გაუქმდეს და ხელახლა გადაეცეს საქმე გასარჩევად იმავე პალატის სხვა მსაჯულთა შემადგენლობას.

„სლოვო“ იუწყება, ფინლანდიის სატელეფონო საქციონერო საზოგადოების დირექტორი რაიხი და ინჟინერი ვალტერი შუამდგომლობენ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, ნება დართოს მათ გამართონ ტელეფონი პეტერბურგსა და ვარშავას შორის.

„რეჩ“-ი იუწყება, გრადონაჩალნიკი აღარ აძლევს ნებას სატირიულ ჟურნალების გამოცემისას. ამის შესახებ შეიკრიბებიან გამომცემლები და განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, რომ ზომიერად გამოუშვან ხოლმე ჟურნალები და თავიდან აიცილონ ერთ დღეს ყველას გამოცემა.

მინსკი. გუშინ ციხეში პატიმარნი დაეცნენ გამომძიებელს, შემდეგ ასტეხეს აღიაქოთი და შფოთვა დაიწყეს, ჩამტვრიეს კარები და ფანჯრები. სალდათებმა თოფები დაახალეს და დასჭრეს ერთი პატიმარი.

ვლადივოსტოკი საზღვაო ციხიდან გააქცა მატროსი პერხომენკო, რომელიც პასუხის გებაში იყო მიცემული ოქტომბრის არეულობის დროს თავისი კაპიტანის მოკვლისთვის.

პოლტავა. ზოლოტონოშკი მაზრაში გლეხთა არეულობა სულ უფრო-და-უფრო ძლიერდება და საშიშ ხასიათს იღებს. გუბერნატორის ტელეგრამით აუწყა ისპრავნიკს ენერგიული ზომები მიიღოს და ჯარის საშუალებით აღადგინოს წესიერება.

ეკატერინბურგი. კაზაკები ქალაქში 15 მაისამდე დასტოვეს. ქალაქში შფოთი აღარაა.

ლოძი. დღეს შევიდა მატკის ფაბრიკაში ორი შეიარაღებული უცნობი კაცი და 25 მან. მოითხოვა სოციალისტების სასარგებლოდ. ცოტა მოგვიანებით იქვე შევიდა რამდენიმე პირი, რომელთაც გამოჰკითხეს პირველ ორს და, კაცებს რა მიზეზი მათის მოსვლისა, ერთი მოჰკლეს და მეორე დასჭრეს, როგორც მტყუარები და სოციალისტების სახელის მომთვისებლები.

შანხაი. საფრანგეთის მთავრობა ითხოვს ჩინეთისაგან 60 ათასი მანეთის გადახდას მისიონერების მოკვლისთვის, 10 ჩინელის საკვდილით დასჯას და 90 ათასი ტაელის ანაზღაურებას დანგრეულ შენობებში.

მელბურნი. სიდნეიში გუშინ საშინელი ციკლონი მძვინვარებდა. ადამიანებიც უმსხვერპლია ქარმა.

ვენა. „ნიუე ფრეიე პრესსე“ იუწყება, ტრიესტში იყვნენ რუსეთის საადმირალოს წარმომადგენლები და დაათვალიერეს გემების სამშენებლო ვერფი. მათ აცნობეს, რა პირობებში სურს რუსეთს შავის ზღვის ფლოტის ძველ გემების გადაკეთება. მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. წარმომადგენლები პეტერბურგს დაბრუნდებიან და განახლებენ მოლაპარაკებას საადმირალოდან საჭირო ინსტრუქციების მიღების შემდეგ. ამბობენ, რომ შედგენილ პროექტის მიხედვით რუსეთს ყველა გემები 170 მილიონ მან. დაუჯდებაო.

პეტერბურგი. უმართებულესი სენატი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მინსკის გუბერნატორის ნიმუშ კურლოვისა და ოდესის გრადონაჩალნიკის ნიმუშ ნეიდგარდტის მოქმედებაში არა მოიპოვება ისეთი რამ, რისთვისაც მათი პასუხისგებაში მიცემა შეიძლებოდეს, და დაადგინა, მოისპოს მათ შესახებ აღძრული საქმე.

რუსეთში გაფიცვის შესახებ გამოცემულ ახალ კანონის ძალით 3 მოსამსახურეს ვარშავის გზისას, რომელთაც კონდუქტორს მისი თანამდებობის ასრულება დაუშალეს, თითო წლის ციხე მიუსაჯეს.

ვენა. მლადოჩეხებმა წინადადება შეიტანეს, დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადახედული კონსტიტუცია. ამისთანა წინადადებას იმათი ასაბუთებენ, რომ უნგრეთის უკანასკნელი ამბები და ახალი საარჩევნო უფლება ძირითად ცვლილებას შეიტანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბერლინი. პოლიციის პრეზიდენტი 7 ათას რუსის ქვეშევრდომს ასახლებს ბერლინიდან.

კიევი. დაიჭირეს კადეტების პარტიის წევრები, რომელთაც ბინებზე პარტიის ამომრჩეველთა სიები დაჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ გუბერნატორმა აუკრძალა ბინა—ბინა სიარული პარტიას.

ნიჟნი-ნოვგოროდი. სემენოვის მაზრის ორ სოფელში სახადი მძვინვარებს. ავათ გახდა 64 კაცი.

კოპენჰაგენი. რუსეთიდან ინგლისსა და ამერიკისაკენ 1800 ემიგრანტი წავიდა.

ბახმუტი. სატერნის საბოთლე ქარხნიდან 8 ოსტატი დაითხოვეს სამუშაოს შემცირების გამო.

ბორისოვი. სოფ. მიღხაში დაატუსაღეს 6 გლეხი დეკემბრის აგიტაციისა და მემამულეების ტყეების გაჩეხვის გამო.

რიგა. სამხედრო სასამართლომ უპესკალნს, ინდრიკსა და ემილგრანდოვსკისა, ინდრიკ დავიზსა და ასსარის მელჰალგს 15 წლის კატორღა გადაუწყვიტა; პირველ სამს გოროდოვოის ცემისთვის, დანარჩენთ ოსტატ რეზენერის მოკვლისთვის.

ჰელსინგფორსი. ვიბორგში კაპიტანმა კოკმა დაათვალიერა ადგილობრივი წითელი გვარდია მუშათა კავშირის შენობაში პარადი ვერ შედგა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ქუთაისში

ალექსანდრე კოსტავას სავაჭრო გადავიდა ტფილისის ქუჩაზე, ქალაქის სახლებში, ქალაქის აფთიაქის გვერდით, სადაც 15 მარტიდან დაიწყება დიდი იაფი დამზადებული ტანისამოსის გაყიდვა. (5—ქ.—1)

ე. გადილას წიგნის მაღაზიაში იყიდე
შემდეგი საკუთარი გამოცემანი:

სამი სიტყვა ანუ თავისუფლება, თანასწორობ ძმობა ერთობა, ივ. მაჭავარიანისა ფასი 5 კ.

როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლებ არჩევნები? ა. ლომთათიძისა, 4 კ.

ლუკმა პურის ამბავი, ანუ ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, დიკშტეინისა, თარგ. კ. ნინიძისა, 6 კ.

თავისუფლებისათვის მებრძოლნი, ა. არნუსის, თარგმანი ა. ლომთათიძისა, 5 კ.

ა. ბებელი. დედაკაცი, თარგ. ა. ლომთათიძისა, 6

აგრეთვე იყიდება შემდეგი წიგნები:

ა. ბებელი. კაცობრიობის იდეალი, თარგმანი ნინიძისა, 15 კ.

ლიბკნეხტი. რა ბრალსა გვდებენ, თარგმანი 10

ლიბკნეხტი. ჩვენი მიზანი, თარგმანი პ. ლ. კ. ლანდაძისა, 15 კ.

როგორ იბრძოდნენ სიცილიელი გლეხები, თა გმანი კ. ნინიძისა, 15 კ.

შიპპელი. მუშათა პროფესიონალური კავშირებ მისივე 15 კ.

ო. მირბო, ჟანი და მადლენი, დრამა.

ა. წულუკიძე. ნაწყვეტები პოლიტიკური ეკო ნომიიდან, 50 კ.

კ. კაუცკი. ისტორიულ-ეკონომიური ნარკვე საფრანგეთის წარსულიდან 2 კ.

კ. მარქსი. ვაჭრობის თავისუფლება, 10 კ.

მ. კოვალევსკი. ოჯახის და საკუთრების წარმო შობა-განვითარება წიგ. პირველი, 20 კ.

ბ. ს. მრეწველობის განვითარება ანუ შრომა კაპიტალი, 15 კ.

ნ. ქ. გერიანის ახალი ისტორიიდან, 25 კ.

ა. თ. ბიკევისა. ამბები ინგლისის ისტორიი მე-XI—XIX საუკ. თარგმანი კ. ჩხეიძისა, 50

პროფ. ენგერტ. ჰეკელი. გრძნობათა ორგანოებ წარმოშობა და განვითარება, 15 კ.

პ. ლ. ფარგი. მანქანის მნიშვნელობა, თარგ. ცხაკაიას მიერ, 10 კ.

მანტეგაცა. შრომა და ბედნიერება, თარგ. მ. ნი ნიძისა, 30 კ.

შავი სპარტაკი, კუნძულ სან-დომინგოს ცხოვრ ბიდან 40 კ.

დ. ჩუბინაშვილი. რუსულ-ქართულ ლექსიკონ 2 მ. 40 კ.

ი. იმედაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1

ე. ბელლამი. ასი წლის შემდეგ (სოციოლოგიუ რი რომანი), 60 კ.

გ. ტისანდე. მეცნიერებისათვის წამებულნი, 4 სურათით, 1 მან.

მიქელე. თანამედროვე ქვეყნიერების მოწინა კუთხე ინგლისის ახალშენი, 60 კ.

ბოკლი. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, კლის სურათით, 50 კ.

ლ. ხელლსონი. ხმირობენ თუ არა ურიები ქრ ტიანების სისხლსა? 10 კ.

ვოლტერი. უმანკო, (მოთხრობა), 30 კ.

პრუდონი. უცხოეთის მწერალი, 20 კ.

მ. გორკი. მოთხრობა, წიგნი პირველი, კარ ქაღალდზე, 70 კ.

ფ. მახარაძე, ხალხური პოეზია და ბ-ნი მ. ლენჯერიძე, კრიტიკული წერილი 20 კ.

მისივე. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, 40 კ.

ივ. გომართელი. შილლერის პოეზიის ძირითადი თვისებანი, 20.

დ. ჭონქაძე. სურამის ციხე, 15 კ.

ე. ნინოშვილი. სრული თხზულება ივ. გომართელის კრიტ. წერილით, 1 მ. 50 კ.

ს. მესხი. თხზულებანი, პირველი ტომი, 1 მ.

ლ. ანდრეევი. წითელი სიცილი, 40 კ.

შ. რუსთაველი. ვეფხვის-ტყაოსანი 4 პორტრ ტით და 21 სურათით, 60 კ.

ექიმი გააზი. ბედკრული მეგობარი, 5 კ.

თ. ჰენრი ჰექსლი. ორგანიული ბუნების მოვლ ნათა მიზეზები სურათებით, 25 კ.

ჩარლ პარნელი (ბიოგრაფია), 25 კ.

დ. კლდიაშვილი. მოთხრობანი, 30 კ.

პ. სურგულაძე. ეროვნული ენა. 15 კ.

ი. ბელოკონსკი. ერობა და თვითმმართველ 10 კაპ.

დ. დეფო. რობინზონ კრუზე, 30 კ.

დ. კარიჭაშვილი. წიგნის ისტორია, 20 კ.

ჰენრიხ სენკევიჩი. ბატამ ძლევამოსილი 20 კ.

ნ. რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სუ რათებით, 50 კ.

ა. ივანოვი. ცა და დედამიწა, 20 კ.

პოლპერი. ბუნების ცოდნა, 25 კ.

გულივერის მოგზაურობა სურათებით, 30 კ.

ბუნების მოვლენანი, 15 კ.

აზიის მნათობი ინდოელების თქმულება, 10 კ.

ს. ურბანოვსკი. თავადის ქალი შრომა და ფუფ ნება, 60 კ.

ჯიოვანიოლი. სპარტაკი, ისტორიული რომანი 60 კაპ.

ვინც პარტიით იყიდის ჩვენს წიგნებს ახლად გამოცემულ წიგნებს, დაეთმობათ 30 პროცენტ წიგნების გაწერა შეიძლება ფასდადებითაც. გამწ თა ხარჯით. აქვე იყიდება 1905 წლის „მოგზა რის“ ნომრები, თითო ნომერი სამი კაპ. მთელ წლის 4 მანეთი.

მაღაზიაში უხვად მოიპოვება მრავალი პოლიტ კური და ეკონომიური შინაარსის წიგნები და ჰდილი რუსულ და ქართულ ენებზე. აგრეთვე წ გნის მ ღაზია კისრულობს პროვინციებში მცხოვ ბთათვის ფასდადებით წიგნების გაგზავნას.

ჩვენი გამოცემანი იყიდება აგრეთვე შემდეგ ად გილებში: **ქუთაისს**—„კოლხიდა“-ს საა ტოშ ისიდორე კვიცარიძესთან. **ბათუმში**—სპ. ჭელიძ წიგნის მაღაზიაში და საჲ. **უჯარაში** (ბაქოს გ ბერნია) ლევან კანკავასთან.

წიგნის მაღაზიის ადრესი: ტფილისი, კიროჩ ქუჩა, № 7 Тифлисъ, Кирочная ул., № 7.

(1—106—1)

სესხი გლეხებს

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგლეხო ბანკის დახმარებით გლეხებს შეუძლიათ ადგი მამულის შეძენა. ვკისრულობ ყველა საქმეს, რომელიც დასჭირდება სესხის გამოტან ადგილ-მამულის შეძენას სოფლის საზოგადოებისათვის, გლეხთა ამხანაგობისათვის, ცალ სოფლებისათვის; ვაფასებ ტყეებს, ვადგენ გეგმებს, მამულების აღწერას,—ყველაფ რაც საჭიროა მამულის ყიდვა-გაყიდვისათვის და დაგირავებისათვის.

იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ჰსურთ მამულების გაყიდვა და აგრეთვე იმ გლეხ საზოგადოებათ და სოფლებს, რომელთაც ჰსურთ მამულების ყიდვა ჩემის შუამავლობ ვთხოვ მომმართონ მე **ტფილისში**, ფრეილინის ქუჩა, სახლი № 3, ტელეფონი № 56

გ. სნეჟკოვს.

(30—16)

მსწრაფლ-მბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართ. ამხ.“-ისა. განჯის დიდი ქუჩა, ტელეფონი № 379.